პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

№ 221 ხუთშაბათი, 27 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300,000 მ.ნ. № 221

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26, ტელეფონი 5-43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

— პარიზიდან იტყობინებიან, რომ აქ გავრცელდა ხმა ლუდენდორფის ბერლინზე გალაშქრების შესახებ.

— ბულგარეთში გრძელდება აჯანყებულთა და მთავრობის მომხრე ჯართა ბრძოლა. აჯანყება [illegible].

— კომინტერნი მოუწოდებს [illegible] მუშებს შექმნან საერთო მოქმედების კომიტეტი მთავრობის წინააღმდეგ.

— ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა ბერძნებისაგან განთავისუფლებული კუნძულები.

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე. საქართველოს კომ. პარტ. ტფ. კომიტეტის ბინაზე შესდგება
ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის

პლენუმის სხდომა

ტფილისის კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანის მაგიერი გოლდბაუმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, სექტემბრის 28-ს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიმუშავონ თვითონ უჯრედებმა და საუბნო კომიტეტებმა.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში
წევრად ჩაწერა სწარმოებს

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (განოვის ქუჩა № 22), შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. მიმართეთ ამხ. მარღანიძეს.

საწევრო გადასახადი არის 3 ჩერვონის მანეთი; შეტანა შეიძლება სამ ნაწილად.

წითელარმიელები და დაბალი კომშემადგენლობა იხდიან 9 ჩერვონის კაპეიკს.

საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე მ. ეხხენი.

გერმანიის კოალიციონური მთავრობის კაპიტულიაცია

გუშინდელი და დღევანდელი დეპეშები გერმანიიდან აღარავითარ ეჭვს აღარ სტოვებენ იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა მოახერხა გაეტეხა წელში ის პასიური წინააღმდეგობა რურში, რომელსაც აწარმოებდა გერმანია ფრანგების მიერ ამ მხარის დაკავების დღიდანვე. გერმანიის კავშირის სახელმწიფოების პრემიერების ყრილობამ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება საიმპერიო მთავრობის და ამ უკანასკნელმაც ოფიციალურათ აცნობა ამის შესახებ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებს ბერლინში.

ამ გადაწყვეტილებაში მოულოდნელი არაფერია. შტრეზემანის კაბინეტის შედგენის დროს უკვე ცხადი იყო, რომ კოალიციონური მთავრობა იქნებოდა მთავრობა კაპიტულიაციის, რომ ქედს მოიხრიდა საფრანგეთის წინაშე მიუხედავათ იმისა, რომ ოფიციალურ დეკლარაციაში ის ხაზგასმით აცხადებდა, რომ ახალი მთავრობა გააგრძელებდა კუნოს პოლიტიკას. ერთი მხრივ, სიძნელე მდგომარეობის რურში, რომელიც მოითხოვდა უამრავ ხარჯებს წინააღმდეგობის გაწევისათვის—თუმცა როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობა უარყოფდენ გადაჭრით, რომ ისინი აქტიური დამხმარე იყვნენ ამ წინააღმდეგობის—მეორე მხრივ, რაც შეიძლება მალე მორიგება საფრანგეთთან, დაკავშირება საფრანგეთის კაპიტალთან ქვეყნის შინაური (რევოლიუციონური) პირობების გამო, რომელიც ემუქრება განადგურებით ბურჟუაზიულ და სოციალისტურ მთავრობას—ყოველივე ამან მიიყვანა ეს უკანასკნელი ამ გადაწყვეტილებამდე. რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება?

ცხადია, რომ ის ვერ შეარბილებს საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის გმირებისა და ბ. პუანკარეს გულს. რურის ევაკუაციის პირობათ საფრანგეთი სთვლის არა მარტო ეგრ. წოდებული პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას, არამედ სარეპარაციო „ანგარიშების“ გასწორებასაც. პუანკარეს პროგრამით, ამ წინააღმდეგობის შეწყვეტის საფასურში გერმანია მიიღებდა **მხოლოთ თანხმობას დაეწყო მოლაპარაკება** გერმანიასთან საკონტრიბუციო ვალების გადახდის პირობების შესამუშავებლათ და არა სხვა რამეს. პასიური წინააღმდეგობის გაუქმება უნდა ყოფილიყო წინასწარი პირობა მხოლოთ ასეთი მოლაპარაკებისა. საფრანგეთის მთავრობა არ თანხმდებოდა თვით იმაზეც კი, რომ ამ წინააღმდეგობის შეწყვეტამდე მას დაებრუნებია რურიდან გადასახლებული მოქალაქენი, რომ თავიანთ ადგილზე დაებრუნებია ყველა ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მოხსნა მან რეპრესიის წესით. საფრანგეთის მთავრობას ამ მხრივაც არაფერი დაუთმია შტრეზემანისთვის. დღეს პუანკარე კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით სდგას თავის პოზიციაზე ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ. ამნაირათ გერმანიის მუშათა კლასი კვლავ, როგორც დღემდე, სდგას ერთად-ერთი მებრძოლი, როგორც გარეშე, ისე, თავისთავათ, შინაური პუანკარეების წინააღმდეგ. ის უახლოვდება ახალ გადამწყვეტ მომენტს ბრძოლისას, სამოქალაქო ომებს. ამის მოლოდინში შავრაზმულ ორგანიზაციებსაც არ სძინავთ. ერთი რადიოს ცნობით, ხუთმეტათასიანი არმია ლიუდენდორფის მეთაურობით დაიძრა ბერლინისაკენ. ძნელია იმის თქმა, რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სინამდვილეს, მაგრამ შეუძლებელი ამაში არაფერია. ცხადია ზრახვები ლიუდენდორფის და ფაშისტური ორგანიზაციების. მისი გამარჯვება შეაჩერებდა არა მარტო რევოლიუციას გერმანიაში, არამედ მოუმზადებდა საფრთხეს თვით რუსეთ-გერმანიის ნორმალურ დამოკიდებულებასაც. ეს იქნებოდა სიგნალი ახალი ომის, რომლის ტერიტორია არ იქნებოდა შემოფარგლული მხოლოთ ცენტრალური ევროპით, რადგან ლიუდენდორფ-ჰინდენბურგის გამარჯვება ბერლინში გულდამშვიდებულათ ვერ დასტოვებდა პირველ ხანებში მაინც საფრანგეთს, რომელიც ამ მხრივ მოელის სარევანშო ცდას.

საფრანგეთისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია დღეს შტრეზემან-ჰილფერდინგის მთავრობა.

გერმანიის პროლეტარიატისთვის კი ერთნაირათ დამღუპველია დღევანდელ პირობებში, როგორც ერთი, ისე მეორე და მისი ცდაც მიმართულია ყველა მთავრობის წინააღმდეგ და მუშურ-გლეხური მთავრობისაკენ. ამას შესძლებს ის მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მის მხარეზე იქნება აქტიური დახმარება ყველა ქვეყნის პროლეტარიატის, განსაკუთრებით მოსაზღვრე ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის. ამ თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამბების მიმდინარეობასაც ბულგარეთში, რომელიც გახვეულია სამოქალაქო ომის ალში.

აქტიური დახმარება გერმანიის პროლეტარიატს—აი გზა საერთაშორისო მუშათა კლასის, აქეთ უნდა იქნეს მიქცეული დღეს მთელი ყურადღება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისაც.

ჩვენი პრესის გარშემო

(დისკუსიისათვის)

III*)

მუშათა პრესა

„კომუნისტი“-ს მუშკორები ხშირად ამბობენ, რომ მათ ნაწერებს საკმაო ადგილი არ ეთმობა გაზეთში: მათი გასული კვირის მორიგ კრებაზედაც იყო გამოთქმული ასეთი საყვედური.

მრავალმხრივაა ეს გარემოება საგულისხმო. წინედ, არც ისე შორეულ წარსულში, მუშკორები სანთლით თისაძებარი იყვნენ, მათი რიცხვი თითზე ჩამოითვლებოდა. დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, და ჩვენს გაზეთს ყავს მრავალრიცხოვანი კადრი მუშა-კორესპონდენტების.

ეს მოწმობს როგორც ჩვენი გაზეთის მიერ საამისოდ გაწეულ უდიდეს შრომას, რომლის წყალობით მან მოახერხა შეექმნა და თავის გარშემო შემოეკრიბა მუშა-კორესპონდენტები, ისე იმას, რომ მუშათა კლასში ძლიერდება თვითცნობიერება, ვითარდება და იზრდება წყურვილი თავის საჭირბოროტო საკითხებზე წერის, პრესაში თანამშრომლობის.

ამგვარად, თანდათან იქმნება პირობები ნამდვილი მუშათა პრესის შესაქმნელად.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს გაზ. „კომუნისტი“-ს ადგილი მუშათა პრესაში. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ ჩვენს მუშკორს და სხვებსაც კარგად არ აქვთ ეს საკითხი წარმოდგენილი საბჭოთა პრესაში, რითაც, სხვათაშორის, აიხსნება ზემოთხსენებული საყვედური; მათი აზრით, „კომუნისტი“ უნდა დაუახლოვდეს, მაგ., „მუშის“ და „რაბოჩაია პრავდა“-ს ტიპის გაზეთს, სადაც მეტი წილი მასალისა და წერილების ეხება ვიწროდ აღებულ მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

ეს უეჭველად დიდი შეცდომაა. გაზ. „კომუნისტი“ ზოგად პარტიული ხელმძღვანელი ორგანო უნდა იყოს, და ეს განსაზღვრავს მის ამოცანებს და შინაარსს.

მან სახელმძღვანელო აზრები უნდა მოგვცეს ამა თუ იმ საკითხის და მოვლენის შესახებ, ამასთან ის უნდა იძლეოდეს ფართე სურათს ჩვენი საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებისას. ის უნდა იყოს შემცველი მრავალფეროვანი მასალის და ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენდეს მუშებისათვის.

ყოვლად შეუძლებელია ჩვენს გაზეთს მოვთხოვოთ, რომ მისი შინაარსი შემოიფარგლოს მარტო მუშათა საკითხებით, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მუშის გონებრივი ჰორიზონტი ასე არ შეიძლება შემოზღუდული იყოს. მას უნდა აინტერესებდეს და აინტერესებს კიდეც არა მარტო ის, რაც ხდება მის ქოხში, არამედ ისიც, თუ რა ამბებია მის გარეთ ყველაფერი ეს მან უნდა იცოდეს.

ყოველი მასალა თუ წერილი, რომელიც თავსდება „კომუნისტში“ და რომელსაც პირველ შეხედვით თითქო არა აქვს დამოკიდებულება მუშათა ცხოვრებასთან,—ამა თუ იმ სახით ემსახურება მუშათა კლასს, მის გათვითცნობიერებას და მომზადებას, მისი ჰორიზონტის გაფართოვებას და კულტურულ დონის ამაღლებას.

ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენმა გაზეთმა ყურადღება არ მიაქციოს მუშათა კლასის **ყოველდღიურ**, წვრილმან და საჭირბოროტო საკითხებს. პირიქით, ეს მხარე, როგორც ერთი მთავარი ნაწილი, უნდა შედიოდეს გაზეთში და მას ფართე ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი. კერძოდ საჭიროდ მიგვაჩნია განყოფილების „მუშათა ცხოვრების“ გაფართოვება. მასში უნდა ჰპოვოს, შეძლებისდაგვარად, სრული გამოხატულება მუშის ცხოვრებამ, მისმა ჭირ-ვარამმა და ტალხინებამ. მაგრამ საქმე განყოფილების არა მარტო სიდიდეშია, არამედ უმთავრესად შინაარსში, ღირსებაში. ეს ეხება, ერთი მხრივ, იმ საკითხების წრეს, რომლებზედაც ჩვენი მუშკორები სწერენ, მეორე მხრივ, ამ საკითხებისადმი მიდგომას, მათი გაშუქების ხასიათს, წერის ღირსებას.

რამოდენიმედ მართალია ამხ. ორაგველიძე, როცა ამბობს, რომ მუშათა ცხოვრების მრავალი საკითხები უყურადღებოდ არიან დატოვებული მუშკორების მიერ, არც მათი წერის ტეხნიკა დგას საჭირო სიმაღლეზე *).

ამას საპატიო მიზეზები აქვს. მუშა-კორესპონდენტები გუშინ და დღეს გამოვიდნენ სამწერლო სარბიელზე. ამისათვის მათ საშუალება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა. მხოლოდ ეხლა გაიხსნა მუშებისათვის რედაქციების კარები და გადიშალა გაზეთების ფურცლები. მათ აკლიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენი გაზეთის მეცადინეობა სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ მუშკორები მოამზადოს ლიტერატურული მუშაობისათვის. იმ გზას, რომელზედაც მიგვითითებს ამხ. ორაგველიძე,—კორესპონდენტთა შორის ფართე მუშაობის წარმოება, მათი კრებების გამართვა, საუბრების მოწყობა მათთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს კორესპონდენციები და სხვ.,—კარგა ხანია ადგია გაზ. „კომუნისტი“. და აქ ის ახალს არაფერს ამბობს.

საჭიროა მხოლოდ ამ მუშაობას უფრო ფართე და სისტემატიური ხასიათი მიეცეს. არ კმარა მუშკორებთან საუბრის გამართვა მარტო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს კორესპონდენციები. საჭიროა მათი ცოდნის გამდიდრება და საუბრების გამართვა სხვადასხვა საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან.

გაზეთის მუშა-თანამშრომელმა უნდა შესძლოს არა მარტო კრების ანგარიშის და უბრალო კორესპონდენციის შედგენა, არამედ ის უნდა გახდეს ნამდვილი ჟურნალისტი. ეს კი, წერის ტეხნიკის ცოდნის გარდა, საკმაო პოლიტიკურ და მეცნიერულ მომზადებას მოითხოვს.

ჩვენმა გაზეთმაც უნდა გააღრმავოს ამ მიმართულებით უკვე დაწყებული მუშაობა.

ბ. ქ.

---

*) ამხ. ორაგველიძეს მაგალითისათვის მოყავს ამხ. ალ. ბ.-შვილის კორესპონდენცია, რომელიც ეხება თამბაქოს ქარხნის „პროლეტარის“ მუშების კრებას. კორესპონდენციაში სწერია: „მუშებმა მოისმინეს მოხსენება (ამხ. ერდვანისა ფაბკომის მუშაობის შესახებ) და მისი მუშაობა სცნეს დამაკმაყოფილებლად, რისთვისაც მადლობა გადაუხადესო“. ამხ. ორაგველიძე დასძენს: „რას გაიგებდა მკითხველი აქედან, თუ რაში მდგომარეობდა მუშაობა ფაბკომის, რისთვისაც ის მადლობით დააჯილდოვეს? მკითხველებს ეს უკანასკნელი არ ესაჭიროებათ. ქვევით ჩვენ გვაქვს სია არჩეულებისა ფაბკომში, სარევიზიო კომისიაში და სხ... რა საინტერესოა მკითხველებისთვის იმის ცოდნა, თუ ვინ აირჩიეს“...

ჩვენც ვამბობთ, რომ ამ კორესპონდენციის დიდი ნაკლია ის, რომ მასში არ არის მოცემული ფაბკომის ანგარიში. დანარჩენში ამხ. ორაგველიძე არ არის მართალი. მადლობით დაჯილდოვების გამოცხადებას, აგრეთვე ფაბკომში და კომისიებში არჩეულთ სიის მოთავსებას უეჭველად აქვს მნიშვნელობა. ესაა, ერთი მხრივ, ყურადღება და პატივისცემა იმათდამი, ვისაც შრომა გაუწევია მუშების სასარგებლოდ, მეორე მხრივ მუშაობისთვის წახალისება როგორც არჩეულების, ისე სხვების.

განა აზრი არა აქვს „წითელ“ და „შავ“ დაფაზე გამოცხადებას? მუშათა კლასი აფასებს თავის ერთგულ შვილებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მის ორგულებს და ხელის შემშლელებს, და ასეთ შეფასება-დამოკიდებულებას ის ახდენს პრესის საშუალებითაც.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ ამხ. ალ. ბ.—შვილი ერთი ძველი და საუკეთესო მუშკორია. მას მრავალი კარგი კორესპონდენცია და წერილი აქვს მოთავსებული მუშებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე.

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 217,219.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი

პარტიამ უნდა იცოდეს, რითი სცოცხლობს და სუნთქავს ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი.

ამიერ-კავკასიის უმაღლესი პარტიული სასწავლებლის მოსაწყობად იხარჯება აუარებელი თანხა. ა. | კ. ს. ფ. ს. რ. პარტიული და საბჭოთა ცენტრალური ორგანოები უნივერსიტეტს ქონებრივ სახსარს აძლევენ იმდენი რაოდენობით და ისეთი ფორმით, რომელიც შეშურდებოდა ყველა კომუნისტ. უნივერსიტეტებს და მათ შორის თვით უძველეს სვერდლოვის უნივერსიტეტს მოსკოვში და ზინოვიევისას პეტროგრადში, მისი პარტიული ბატონ-პატრონის—ა. | კ. საოლქო კომიტეტისა და საბჭოთა შეფის ა. | კ. სახ. კომ. საბჭოს მხოლოდ და მხოლოდ ასეთი მზრუნველობით აიხსნება უნივერსიტეტის სწრაფი-ამერიკული წინსვლა. ა. | კ. ს. ფ. ს. რ. დაარსებასთან ერთად ა. | კ. ცაკის 1 სესიის დროს წარმოშობილი (1923 წ. მარტში) უნივერსიტეტი ნახევარი წლის განმავლობაში აარსებს და აწყობს თავის გარშემო საერთო-საგანმანათლებლო, საბუნებისმეტყველო ისტორიულ, საზოგადოებრივ—სამეცნიერო ლაბორატორიებს, კაბინეტებს, ბიბლიოთეკებს და მრავალ სხვა დაწესებულებას, რომელიც აუცილებელია ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ნორმალური არსებობისთვის ჩვენი აპარატის ყოველი კუნთი და ნერვი უკიდურესობამდეა დაჭიმული, რათა ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე ან ყოველ შემთხვევაში, ახალ წლისთვის „ყველაფერი“ მზად იქნეს.

ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში სასწავლო და სამეცნიერო მასალების (ლაბორატორიების, სამკითხველოების, წიგნთსაცავების და სხვათა) პირველხნობითი დაგროვების პროცესი წლობით, და წარმოიდგინეთ ასეულ წლობით გრძელდება. სატახტო ქალაქების უნივერსიტეტებში (სვერდლოვის და ზინოვიევის სახელობის უნ-ში) ეს პროცესი უკვე რამოდენიმე წელიწადია სწარმოებს, ხოლო ჩვენ უნივერსიტეტში იგი დასრულდება ნახევარი წლის განმავლობაში, ან ბევრი რომ გავაჭიანუროთ, 9 თვეში. ყველაზე უძნელესი პერიოდი საორგანიზაციო ა. | კ. კომ. უნივერსიტეტისა მიმდინარეობს დევისებური ნახტომით—მატერიალისტურ დიალექტიკის ყველა წესების მიხედვით: და პარტია, რასაკვირველია კმაყოფილი იქნება ამ დიალექტიკისთვის.

ა. | კავ. კომ. უნივერსიტეტების წინსვლის ამერიკანიზმი პირდაპირ პროპორციონალურია ა. | კავკასიის პარტიულისა და სახელმწიფო აპარატის მღალადებელ საჭიროებასადა მოთხოვნილებისადმი მარქსისტ-კომუნისტ-ლენინელების ცოცხალს და საღს კადრის შექმნაში ძველი პარტიული გვარდია—ჩვენი პარტიის ძირითადი კაპიტალი, იწვის რა ოქტომბრის შრომის შემდეგ, ციებ-ცხელების ცეცხლში, თან და თან ცვდება თუ ერთის ხუთ-წლედში ძველი გვარდიის რიგები ასე საგრძნობლად შეთხელდა, რა დაემართება მათ ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ათწლედის შესრულებამდე. რა დაემართება ამ დრომდე პარტიულ საბჭოთა აპარატს, თუ არ გვეყოლა. შესაცვლელი ახალი ძალა. ძველმა პარტიულმა გვარდიამ მიიღო სერიოზული მარქსისტული ცოდნა ბოლშევიკურ „პოდპოლიე“-ში, რომელიც იყო უბადლო კომუნისტური უნივერსიტეტი, ხანგრძლივი, 10—15 წლიანი სასწავლო კურსით. (1903—1917 წ. წ.). ხოლო ჩვენს ახალგაზრდა გვარდიას, რომელმაც ფრთები მხოლოდ 1917—21 წლებში შეისხა და რომელიც პრაქტიკულ მუშაობასა, სამხედრო კომუნიზმს და „ნეპის“ ქარცეცხლში გამოიზარდა, არავითარი მარქსისტული შკოლა არ გაუვლია და მარქს-ლენინს მხოლოდ შორეული თავაზიანი ქუდის მოხდით იცნობენ — . . . იცნობენ მხოლოდ ბროშიურების გაზეთების და შეიძლება საიუბილეო მოხსენებათა და სიტყვების მიხედვით. კომ. უნივერსიტეტი მოწოდებულია აღჭურვოს ჩვენი შეუმოსველი ახალგაზრდა გვარდია—ახალგაზრდა პარტიული და „უძველესი“ კომკავშირელნი მარქსისტული იარაღით, ლენინის სიმტკიცით.

პარტიული უმაღლესი სკოლები უნდა გახდენ ძველი პარტიული გვარდიის შემთვისებლობის ცენტრი. ამ ძირითად პარტიულ კაპიტალის შეთვისების პროცესის მასალათ უნდა გახდეს ახალგაზრდა გვარდია. უმაღლეს პარტიულ სკოლებში განვლილი ოქტომბრის ახალგაზრდობა იქნება დიალექტიური „დაბრუნება“ ძველი გვარდიის, დაბრუნება დედამიწაზე პირველ კომუნისტურ რევოლიუციის პარტიულ საბჭოთა გამოცდილების გაფართოვებულ ფუძეზე. ასეთი ახალგაზრდობის გარეშე, პარტია ვერ გადასწყვეტს ვერც ერთ ისტორიულ ამოცანას, და პირველ რიგში მუშგლეხინსპექციის და მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის რეორგანიზაციის საკითხს. დეე ნაკლებათ, მაგრამ უფრო კარგათ გაიარონ უმაღლესი პარტიული სკოლა, ხოლო ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის პროგრამა-მინიმუმი ვერ დაეშვება 300 კაცზე ქვევით.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე პარტიამ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს უნდა მოსთხოვოს 300 სკოლა განვლილი, უმაღლეს მომზადებული ბოლშევიკები.

თანახმაა ვართ. მაგრამ მარქსისტული ფილოსოფიის ენით რომ ვსთქვათ, უნივერსიტეტი წარმოადგენს ცენტრის და ადგილების დიალექტიურ ურთიერთმოქმედებას. ცენტრი იძლევა (უკვე მოგვცა!) უნივერსიტეტის მატერიალურ ფუძეს და ლექტორებს, ხოლო ადგილებმა კი „უნდა შესწირონ“ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის აშენების კარგი, ძლიერი, ჯანსაღი ახალგაზრდობა. ადგილები უყურადღებოთ ასრულებენ პარტიულ—საბჭოთა ფაკულტეტის განაწერს. ცოტ-ცოტა მომზადებულ ამხანაგს—თუნდაც ისეთს, რომელმაც ბოგდანოვის „მოკლე კურსი“ იცის —ადგილები, არ უშვებენ, თუმცა სულ ერთი ორი წლის განმავლობაში ისინი გაიცვითებიან მარქსისტული ლიტერატურის უცოდინარობის წყალობით. უნივერსიტეტში აგზავნიან ისეთ ამხანაგებს, რომელთათვის უმჯობესი იქნებოდა ორ წელიწადს მეორე, ან პირველ საფეხურის პარტიულ სკოლაში აღზრდა.

აი, ჩვენი განაწერის ციფრები გამოცხადებულ იყო ივლისის დასაწყისში. იყო აღნიშნული, რომ მივლინებულნი ვალდებულნი არიან გამოიყონ და მიიღონ ორი თვის შვებულება მისაღებ გამოცდების ჩასაბარებლად. არც ერთმა ორგანიზაციამ არ შეასრულა ეს მოთხოვნილება. მიღება დანიშნულია 15—30 ენკენისთვეს, ხოლო 10 დღით ადრე (15 24 ენკენისთვეს). უნივერსიტეტში მოვიდა მხოლოდ 115 კაცი, განაწერის 50 პროცენტი. (200 კაცი). მოსულებში პარტიულ—საბჭოთა ფაკულტეტისათვის გამოდგება მხოლოდ 50 პროცენტი, სულ დანარჩენებიდან დაახლოვებით მოსამზადებლად გამოდგება 25 პროცენტი, დანარჩენი არ გამოდგება. მაშასადამე, ღირსებითაც და რაოდენობითაც განაწერი სრულდება ადგილების მიერ არა იმ სათანადო ყურადღებით და სერიოზულობით, რომელსაც მოითხოვს უმაღლესი პარტიული სკოლა.

აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის პროფკავშირებმა მიიღეს 30 ადგილი, ხოლო გამოგზავნეს 1. საქართველოს ცეკამ მიიღო 70 ადგილი—მათ შორის 58 პროვინციისათვის და 12 ტფილისისათვის—ხოლო გამოგზავნა 25 პროვინციიდან და 30 მეტი ტფილისიდან. ასე არ ვარგა.

აზერბეიჯანის ცეკამ მიიღო 50 ადგილი (მიუმატეთ პროფკავშირთა 12 ადგილი), ხოლო გამოგზავნა 40. სუსტია.

სომხეთის ცეკამ მიიღო 30 ადგილი, ხოლო გამოგზავნა 12. ესეც სუსტია, ძლიერ სუსტი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივისამებრ, ადგილები მოკრების ბოლოში ამოქმედდებიან. ვიმედოვნოთ.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენ გეტყვით ციფრებში ადგილები რა როლს ითამაშებენ ჩვენს საქმეში რაოდენობით და ხარისხითაც.

„ამიერ-კავკასიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებო, შეერთდით“! „შესწირეთ“ ძლიერი ახალგაზრდობა (შეიძლება „უბოგდანოვოთაც“) ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს. პარტია თქვენ მადლობას გეტყვის 4 წლის შემდეგ, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ჩვენ გამოუშვებთ მათ ძველი პარტიული გვარდიის გამოსაცვლელად.

ხ. ნოვიკოვი.

ამხ. ლენინის უკანასკნელი სურათი

(გადაღებულია აგვისტოს 28-ს).

კიდევ სოც.-ფედერალისტების შესახებ

(პასუხი თ. ღლონტს)

I

მეტად არა სასიამოვნო და მოსაწყენი საქმეა ქართველ ფედერალისტთა წარსულის ქექვა, კვლევა-ძიება და მისი გადაშლა მკითხველი საზოგადოების წინაშე. მართალი უნდა ვსთქვა, სრულებით არ მქონია მიზნათ ამ საქმეს შევსდგომოდი, როდესაც ვსწერდი ჩემს წერილს: „ძველი ანგარიშები“ („კომუნისტი“-ს 205 ნომერში), რომელიც გამოიწვია ს. ა.-ს წერილმა „ტრიბუნა“-ში (562 ნომერში), სადაც ავტორი სცდილობდა ფედერალისტთა წარსული უნაკლოდ დაეხატა და მკითხველისთვის ისე მოეჩვენებია საქმე, რომ ვითომ ფედერალისტებმა არა თუ მენშევიკებზე, თვით კომუნისტებზეც **ადრე და უკეთ** შეიგნეს ოქტომბრის რევოლიუციის ნამდვილი ინტერესები და სადღეისო ლოზუნგები, რომელთა რეალიზაციას მხოლოდ ეხლა შეუდგენ, კომუნისტები სახელმწიფოს სათავეში მოქცევის შემდეგ. „დიაღ, ჩვენ ვებრძოდით მენშევიკებს და ბოლშევიკებს, მაგრამ ამხ. ფ. მახარაძე უნდა დაგვეთანხმოს, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები ებრძოდენ იმას, რასაც ეხლა იცავენ და ჩვენ ვებრძოდით სწორედ იმას, რასაც ეხლა თითონ ებრძვიან და ვიცავდით იმას, რასაც ეხლა ისინი იცავენ“—სწერდა ს. ა. ქვევით ის, წარსულში შეურაცხყოფილის და დღეს კი გამარჯვებულის კილოთი აცხადებდა რიხიანად: „ისტორია დაამოწმებს, რომელი ფური მეტს იწველიდა იდეოლოგიურად და ვისი ნაწველი დაანგრია ოქტომბრის რევოლიუციამ“. თავის წერილის დასასრულში ის ამბობდა, რომ ფედერალისტები 25 წლის წინადაც იმავე პოზიციაზე იდგენ, რომელსაც დღეს იცავენ.

გამოდის, რომ 25 წლის წინად ფედერალისტებს ჰქონდათ შეგნებული რევოლიუციის ნამდვილი ინტერესები და არა თუ მენშევიკებს, ბოლშევიკებიც კი მათ გზას დადგომიან დღეს, ხელი აუღიათ თავიანთ ძველ პოზიციაზე.

მენშევიკებს თავი დავანებოთ, მაგრამ გამოდის, რომ კომუნისტებსაც ფედერალისტებისაგან უსწავლიათ ჭკუა და მიუღიათ გასანაღდებლათ მათი პროგრამა, თუმცა დიდი დაგვიანებით (რაც, ალბათ მეტად სამწუხაროა ს. ა.-სთვის), მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ს. ა.-ს წერილიდან ისე გამოდიოდა, რომ ბოლშევიკებს და ეხლახან კომინტერნის პლატფორმაზე შემდგარ მენშევიკებს რომ თავიდანვე დაეჯერებიათ ფედერალისტებისთვის, მიეღოთ მათ ლაბორატორიაში დამზადებული ლოზუნგები და შესდგომოდენ ცხოვრებაში მათ გატარებას, ამით ბევრს მოიგებდა რევოლიუციაც, კომპარტიაც, საქართველოც და ფედერალისტთა პარტიის სიხარულსაც ხომ საზღვარი არ ექნებოდა. ყველაფერი ეს მოხდებოდა, რომ ფედერალისტებისთვის დაეჯერებიათ თავიდანვე.

ჩვენ ვერ დავეთანხმეთ ავტორს, წინააღმდეგი დებულებები წამოვაყენეთ და დავხატეთ ფედერალისტთა წარსულიდან სხვა სურათი, რომელიც, ჩვენის აზრით, გაცილებით უფრო ახლოა სინამდვილესთან.

ჩვენ მიზნათ არ გვქონია ამ პარტიის ისტორია დაგვეწერა, არც დღეს გვაქვს ეს მიზნათ. ჩვენ მხოლოდ გაკვრით გვსურდა საერთო სურათის მოცემა და სრულებით ზედმეტია ამხ. თედო ღლონტის საყვედური, რატომ ჩვენ ფრანც მერინგივით არ მოვიქეცით, და ღლონტისებურად არ დავსწერეთ უზარმაზარი ფელეტონები, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში იბეჭდებოდა „ტრიბუნა“-ში ეს კიდევ ცოტაა: ავტორი გვეუქრება, რომ პორტფელში მას კიდევ ბევრი მასალა მოეპოება, თუ მაინც და მაინც ეს საჭირო შეიქნა

ჩვენ ვიცნობთ თედო ღლონტს, ვიცით, რომ მას წერა არ ეზარება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ, როგორი დიდი ფელეტონები და თუ გინდ ტომებიც არ უნდა დასწეროს მან, ან სხვა ვინმემ — შეუძლებელია ქართველ ფედერალისტთა პარტიის რეაბილიტაცია, ისტორიული სინამდვილის დამალვა, შავის თეთრად მოჩვენება, ფედერალისტთა „25 წლის წარსულის“ რევოლიუციონურათ მონათვლა და გამართლება დღევანდელი თვალსაზრისით.

რას ვამბობდით „კომუნისტ“-ში? ჩვენ ვთვლიდით ფედერალისტთა პარტიის წარსულს ანტირევოლიუციონურათ, განსაკუთრებით ამ პარტიის პრაქტიკულ მუშაობას, პარტიის საქმეს და არა სიტყვას, რომელიც აგრეთვე ანტირევოლიუციონური იყო, მაგრამ ხშირად რევოლიუციონურ სამოსელში იყო გახვეული და ამიტომ მისი ანტირევოლიუციონური შინაარსი ზოგიერთებისთვის გაუგებარი რჩებოდა.

ჩვენ ვამბობდით, რომ ფედერალისტების ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ მოკლებული იყო რევოლიუციონურ შინაარსს და შეუძლებელია ამ ბრძოლის ფაქტით იმის მტკიცება, რომ ფედერალისტები უფრო ახლო იდგენ ბოლშევიკებთან, მეტი გულწრფელობით და თავდადებით იბრძოდენ რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

დაარღვია ეს თედო ღლონტმა? ვნახოთ.

„ტრიბუნის“ 570 ნომერში ის სწერს: „**პარტიის** (იგულისხმება ფედერალისტთა პარტია) **პრაქტიკული მოღვაწეობა იყო უხამხი, ტლანქი, მთელ რიგ შემთხვევებში ყალბი და რეაქციონური**“ (ხაზი ჩემია).

აი, სწორედ ამ „ყალბობის“ და „რეაქციონერობის“ შესახებ თავის წერილში არაფერს არ ამბობდა ს. ა. და, პირიქით, ბრწყინვალე შარავანდედით მოსავდა ფედერალისტთა წარსულს. ს. ა. არა თუ არ სცნობდა ფედერალისტთა დანაშაულს რევოლიუციის წინაშე, პირიქით, „გამოლმა გვედავებოდა“ და კომუნისტებს სდებდა ბრალს იმაში, რომ ისინი „ებრძოდენ იმას, რასაც ეხლა იცავენ“. ჩვენც ვერ დავეთანხმეთ ს. ა—ს და თედო ღლონტიც არა თუ ადასტურებს ს. ა—ს. დებულებებს, არამედ თვითონვე სცნობს, რომ ფედერალისტთა წარსული მოღვაწეობა იყო „ყალბი და რეაქციონური“. ამხ. თედო ღლონტს მეტი დაეჯერება ამ შემთხვევაში, ვინაიდან ის უკეთ უნდა იცნობდეს ფედერალისტთა წარსულს თავის უშუალო მონაწილეობით ამ პარტიის მოღვაწეობაში, ვიდრე ს. ა.

მე არ მოვთხოვ თედო ღლონტს, **როგორც ამ პარტიის ყოფილ აქტიურ წევრს**, იცნოს ფედერალისტთა წარსული მთლიანათ ყალბად და რეაქციონურათ.

მე ამით დავკმაყოფილდებოდი, რომ ის თავის პორტფელის იმედით არ შესდგომოდა ისეთ დებულებათა მტკიცებას, რომლებსაც მე ვერ დავეთანხმები, იძულებული ვარ ამიტომ მივყვე მას ბოლომდე და მოვაგონო, რომ ისტორიული მასალები და ფაქტები მის პორტფელს გარეშეც მოიპოება, მით უმეტეს, რომ ეს „ისტორია“ არც ისე შორეულია, რომ მის გამოსაკვლევად და გადმოსაფურცლავათ მაინც და მაინც არქეოლოგიური მტვერის აყენება იყოს საჭირო.

ღლონტი სწერს: სოც. ფედ. პარტია დაიბადა 1903 წელში. „სახალხო საქმემდე“ პარტიული წმინდა ორგანო იყო „საქართველო“. ამ დროს ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედებდენ დასელები და „ივერიელნი“.

ეხება რა პარტიათა ცხოვრებას იმ დროში, ავტორი ამბობს ფედერალისტთა პარტიის შესახებ: „თუ ჩვენ პარტიის წარსულს არ გავზომავთ **ჭრელი მასის** (ხაზი ჩემია) მიხედვით, არამედ განვიხილავთ მის მეთაურთა, ესე იგი, იდეოლოგიურ მიმდინარეობის მიხედვით, მთელ რიგ შეცდომების, სიყალბენის და კაზუისტიკის მიუხედავად, ძველი პარტიის ისტორიას გავყოფთ ორ მომენტად. პირველი პერიოდია ბოლშევიკური გადატრიალებამდე არსებული ხანა: მეორეა გადატრიალების შემდეგი ხანა, პირველი ხანა კვლევა ძიების, „სუმბურის“, ინტელიგენტურ ალტაცების ხანაა, მეორე გაკვეთილი ჩამოყალიბებული მოქმედების, სადაც ერთი ფრთა რეაქციისაკენ გადაიხარა, მეორე რევოლიუციისაკენ“.

დიდათ სასიამოვნოა, რომ ამ პარტიის ერთი ფრთა მაინც გადაიხარა რევოლიუციისაკენ, მაგრამ ფედერალისტთა „25 წლის“ წარსულის გამოთეთრება მაინც არ მოხერხდება, ვინაიდან ის „ჭრელი მასა“, რომლისგანაც ფედერალისტთა პარტია შესდგებოდა წარსულში, კონტრრევოლიუციონური იყო და განსაზღვრავდა მთელი პარტიის პოლიტიკას. პარტიის ოფიციალური ორგანო „საქართველო“ სწერდა: „ჩვენს დროშაზე ორ სიტყვას ვაწერთ: „ეროვნული ავტონომია და დემოკრატია“ და ქვევით „მოსაპოვებელი და საბრძოლველი ეროვნული ავტონომია გვაქვს, მაშასადამე ერთი რაზმი უნდა შესდგეს ყველა იმ მშრომელთაგან, რომელთაც სწადია ამ ავტონომიის მოპოება. ვინ არიან ისინი?“ საიდან შესდგება ავტონომიისთვის მებრძოლი რაზმი? იქვე ამის შესახებ გარკვეული პასუხია: „**გამბედავი თავად-აზნაურებისაგან**“, „**ეპისკოპოსებისა და მღვდლებისაგან**“, „**გაბედული ინტელიგენციისაგან**“, „**სტუდენტობისაგან**,“ „**გლეხობისაგან**“ და **ქარავგილი მუშებისაგან**“. (ხაზი ყველგან ჩემია).

დიაღ, ასეთი ლაშქარით „მღვდელ-ეპისკოპოსების“ ლოცვა-კურთხევით და „გაბედული თავად-აზნაურობის წინამძღოლობით აპირებდა ბრძოლის გაჩაღებას „საქართველოს“ ჯგუფი, რომელიც ფედერალისტთა მამამთავრათ ითვლება; სინამდვილეში სწორედ ამ ლაშქრის „ჭრელ მასას“ ემყარებოდა წარსულში ფედერალისტთა პარტია.

კლასობრივი ბრძოლის და რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის პრინციპების ნაცვლად ეს ლაშქარი აღვივებდა ეროვნული ბრძოლის კოცონს და მის სამსხვერპლოზე მოუწოდებდა უკვე გათვითცნობიერებულ ქართველ მუშა ხალხს მსხვერპლის მისატანად, თავის კლასობრივი ინტერესების დასავიწყებლად. დიაღ, ეს ლაშქარი, ეს „ჭრელი მასა“ აწარმოებდა ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, მაგრამ „თავად-აზნაურთა“ და „მღვდელ-ეპისკოპოსთა“ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ რევოლიუციონური შინაარსი და ხასიათი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა რომ ასეთი ჰქონოდა.

სრულებით არ არის გასაკვირალი, თუ ფ. მახარაძემ ვერ ნახა ამ ეროვნული ლაშქრის დამსახურება რევოლიუციის წინაშე და, პირიქით, დანაშაულათ იცნო იგი.

ი. ბ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობის კაპიტულიაცია

აუგსბურგში გაიმართა მონარქისტების დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც ლიუდენდორფმა აშკარა ომი გამოუცხადა ბერლინს. მან განაცხადა, რომ გერმანიის კრიზისს გადასჭრის ბავარიის ტყვიისმფრქვეველიო.

აღმოსავლეთ პრუსიაში ციხეში აჯანყდა 600 პატიმარი. შეტაკების დროს მილიციამ მოჰკლა ერთი პატიმარი, ხოლო დასჭრა მრავალი.

რეიხსტაგის მოწვევა გადაიდო იმ დრომდის, სანამ არ დამთავრდება მოლაპარაკება მთავრობის და დაკავებულ ოლქების წარმომადგენელთა შორის.

დაკავებულ ოლქების წარმომადგენლებმა მთავრობასთან თათბირზე მოითხოვეს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა ნიშნავს უარის თქმას თვით გერმანიის სუვერენიტეტზეო.

მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ; ამბობენ, თითქოს ლიუდენდორფმა გაილაშქრა ბერლინზე.

კაპიტულიაციის წინ

დაკავებულ ოლქების იზოლიაცია გრძელდება.

ბერლინი. 25 სექტ. რურის ოლქის იზოლიაცია გრძელდება. საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ 1 ოქტომბრიდან კვლავ იქნება აკრძალული ურთიერთობა დაკავებულ ოლქსა და გერმანიის დანარჩენ ნაწილს შორის.

ბავარიის მონარქისტები ომს უცხადებენ სატახტო ქალაქს.

ლიფილდი. 25 სექტ. ამერიკის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტების ცნობით, აუგსბურგში გაიმართა მონარქისტების დიდი დემონსტრაცია. ლიუდენდორფმა აშკარა ომი გამოუცხადა ბერლინს; მისი მუქარის მიხედვით, გერმანიის კრიზისი უნდა გადასჭრას ბავარიის ტყვიისმფრქვეველებმა.

პატიმრების აჯანყება.

ლიფილდი. 25 სექტ. ალტემბურგში (აღმოსავლეთ პრუსია) ციხეში აჯანყდა 600 პატიმარი.

მილიციის მიერ, რომელიც გამოცხადდა აჯანყების ჩასაქრობათ, მოკლულია ერთი პატიმარი, დაჭრილია მრავალი.

უმუშევრები მოთმინებიდან გამოვიდნენ.

ბერლინი. 25 სექტ. უმუშევრების პოლიციასთან შეტაკების გამო, დრეზდენში დაჰკეტეს სასურსათო მაღაზიები. ხდება დაპატიმრება.

ხმები მემარჯვენეების გამოსვლების შესაძლებლობის შესახებ.

ბერლინი. 25 სექტ. მთავრობის ცნობის გამო სახელმწიფოს ხელისუფლების დასაცავად საგანგებო ზომების მიღების შესახებ, ძლიერდება ხმები, თითქოს მოსალოდნელია მემარჯვენეების გამოსვლები. მთავრობა თავის თავს საკმაოთ ძლიერათ სთვლის მემარჯვენეების გამოსვლების ჩაქრობის საქმეში და დიდ მნიშვნელობას არ ძლევს ამ მუქარას.

მოლაპარაკება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

რეიხსტაგის მოწვევა გადაიდო.

ბერლინი. 25 სექტ. რეიხსტაგის მოწვევა გადაიდო მანამდე, სანამ არ დამთავრდება მოლაპარაკება მთავრობასა და დაკავებულ ოლქების წარმომადგენლებს შორის პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

გერმანიის რკინისგზელთა შეგნება.

ბერლინი. 25 სექტ. მიუნხენში ადგილი აქვს შეიარაღებულ შეტაკებას მუშებსა და ფაშისტებს შორის, რომელნიც შეიარაღებულნი არიან ყუმბარებით და ტყვიის მფრქვეველებით. ფაშისტების მიერ განზრახული დიდი გამოსვლები პროლეტარულ რაზმების წინააღმდეგ ჩაშლილ იქნა რკინის გზელების მიერ, რომელთაც უარი განუცხადეს ფაშისტებს საგანგებო მატარებლის დათმობაზე.

სამოქალაქო ომის სუნი უდის.

ბერლინი. 25 სექტ. გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგი“ ითვალისწინებს სამოქალაქო ომს, აქცევს რა ყურადღებას ბავარიის ფაშისტების აქტიურ გამოსვლებისათვის მზადებას.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატები შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 25 სექტ. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდ აურზაურს იწვევს მემარცხენე სოც.-დემოკრატების პოზიცია, რომელთაც არ სურთ მხარი დაუჭირონ შტრეზემანის მთავრობას.

მემარცხენე სოც.-დემოკრატები მოითხოვენ სოციალ-დემოკრატების გამოსვლას დიდი კოალიციის შემადგენლობიდან და დაჟინებით მოითხოვენ „ფორვერტსის“ (სოც-დემ. პარტიის ორგანოს) რედაქციის შეცვლას, რადგან უკანასკნელი ძალიან დიდ პირმოთნეობას იჩენს შტრეზემანისადმი.

გერმანიის პრესა მთავრობის ზრახვების შესახებ

ბერლინი. 25 სექტემბერი. ჰკიცხავს რა მთავრობის გადაწყვეტილებას პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ, „ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ წინააღმდეგობა მაინც შესუსტდაო.

გაზ „ფოსიშე ცაიტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ გერმანიის მთავრობას არ აქვს სხვა გამოსავალი, თუ არა პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა.

საქსონიის კომუნისტური გაზეთის დახურვა.

ბერლინი. 25 სექტემბერი. საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზოლგამა აკრძალა 8 დღით საქსონიის კომუნისტური გაზეთის გამოცემა.

თათბირი პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

ბერლინი. 25 სექტემბერი. დაკავებულ ოლქების წარმომადგენლებმა მთავრობასთან თათბირზე მოითხოვეს პასიური წინააღმდეგობის სრული შეწყვეტა. სამშაბათს მოხდება მთავრობის თათბირი გერმანიის ცალკე სახელმწიფოების პრემიერებთან. მთავრობის საწინააღმდეგო ოპოზიცია მოსალოდნელია ბავარიის პრემიერის კნილინგის მხრივ. საბოლოო გადაწყვეტილებას მოელიან ოთხშაბათს.

„ტაქტიკური მანევრი“

ბერლინი. 25 სექტემბერი. შტრეზემანის ორგანო „ცეიტ“-ი აცხადებს, რომ პასიური წინააღმდეგობა იყო მხოლოდ ტაქტიკური მანევრი და მოლაპარაკების დაწყების პირობათ ის სთვლის პატიმრების განთავისუფლებას და დაკავებულ ოლქებიდან გადასახლებულთა დაბრუნებას. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“-ი, სცნობს რა პასიური წინააღმდეგობის დამარცხებას, აფრთხილებს მთავრობას, რომ დოკუმენტში, რომლითაც მთავრობა უარს ამბობს პასიურ წინააღმდეგობაზე, აუცილებლათ უნდა აღინიშნოს საფრანგეთის არმიის ნაძალადევათ შემოჭრა გერმანიის ოლქებში.

უარის თქმა გერმანიის სუვერენიტეტზე.

ბერლინი. 25 სექტემბერი. „როტე ფანე“ ფიქრობს, რომ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა ნიშნავს უარის თქმას არა მარტო დასჯილთა ამნისტიაზე, არამედ აგრეთვე თვით გერმანიის სუვერენიტეტზედაც.

მომავლის იმედი.

ბერლინი. 25 სექტემბერი. გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს შესცვალოს ელჩების პოსტები პარიზსა და ბრიუსელში, თუ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები დათანხმდება დაიწყონ მოლაპარაკება დასჯილთა ამნისტიის და დაკავებულ ოლქებიდან გადასახლებულთა დაბრუნების შესახებ.

ლიუდენდორფის გალაშქრება ბერლინზე

გერმანიის მთავრობის ოფიციალური ცნობა.

პარიზი. 26 სექტემბერი. გერმანიის პრესაში მსხვილი ასოებით დაბეჭდილია გერმანიის მთავრობის ოფიციალური ცნობა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. გაზეთები, რომელნიც მხარს უჭერენ კოალიციას, ცდილობენ გაამართლონ მთავრობის გადაწყვეტილება. საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით შეხვდა გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას.—გაზ. „ევრი“ ამბობს: „ტყუილ უბრალოთ ცდილობენ გერმანიის და განსაკუთრებით ბავარიის ნაციონალისტები წინააღმდეგობის გაწევას. პასიური წინააღმდეგობა დამთავრებულია.

„ტანი“ და „ჟურნალ დე-დება“ უყენებენ საკითხს: „სახელდობრ რაში გამოიხატება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტა“?

ცნობა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

პარიზი. 26 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად გერმანიის მთავრობა ოფიციალურად აცნობებს საოკუპაციო ხელისუფლებას და ბერლინში მყოფ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

ლიუდენდორფი მიდის ბერლინზე

პარიზი 26 სექტემბერი. პარიზში გავრცელდა ხმები იმის შესახებ რომ გენ. ლიუდენდორფი 15,000 კაცისაგან შემდგარი რაზმით მიემართება ბერლინისაკენ. მოელიან რეინლანდის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. გერმანიის მთავრობა, ემზადება ყოველგვარ შესაძლებლობისათვის. საჭიროების მიხედვით მთელ ქვეყანაში საალყო წესები იქნება გამოცხადებული.

გერმანიის ამბების გამოძახილი

გამოძახილი ლიტვაში.

კოვნო. 25 სექტემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრმა კომუნისტურ მოძრაობის გაძლიერება ლიტვაში გერმანიის ამბებით ახსნა.

გერმანიის ამბების მნიშვნელობა მსოფლიო მუშათა კლასისათვის.

საუბარი პროფინტერნის მდივანთან

მოსკოვი. 26 სექტემბერი. პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში სთქვა: „პროფინტერნი და მისი მომხრე ორგანიზაციები დიდი ყურადღებით ადევნებდენ თვალს გერმანიის ამბებს, და ყოველთვის, როდესაც მდგომარეობა გერმანიაში მწვავდებოდა, დახმარებას უწევდენ გერმანიის პროლეტარიატს, როგორც ნივთიერათ, ისე მორალურათაც. გერმანიის უკანასკნელმა ამბებმა სერიოზული ამოცანები წამოაყენა პროფინტერნის წინაშე. თანამემამულე კონტრ-რევოლიუციონერებს გარდა მათი გამარჯვების შემთხვევაში, გერმანელ მუშებს საქმე ექნებათ საფრანგეთის, სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის, ჩეხო-სლოვაკიის და პოლონეთის ჯარებთან. ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ვალია ხელი შეუშალოს უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევას გერმანიის საქმეებში. ყველა ქვეყნის მუშებმა ლაგამი უნდა ამოუდონ თავიანთ ქვეყნის ბურჟუაზიას და ყოველგვარ საშუალებით დაუშალონ გერმანიის რევოლიუციაზე თავდასხმა. დღევანდელი ამოცანაა—გერმანიის რევოლიუციის დაცვა შინაგან და გარეშე კონტრ-რევოლიუციისაგან. კომინტერნი პროფინტერნთან ერთად დიდი ხანია მუშაობს ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის.

ანტანტის პოზიცია

ინგლისის კაბინეტის სხდომა.

ლონდონი. 26 სექტემბერი. დღეს, 26 სექტემბერს გაიმართება ინგლისის კაბინეტის სხდომა, რომელზედაც ბალდვინი გააკეთებს მოხსენებას პუანკარესთან მოლაპარაკების შესახებ. მოელიან, რომ სხდომის შემდეგ გამოქვეყნებული იქნება ოფიციალური ცნობა. პირველ საჯარო განცხადებას პუანკარესთან მოლაპარაკების შესახებ ბალდვინი გააკეთებს მომავალ ორშაბათს ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ სახელმწიფოების კონფერენციის გახსნის დროს.

მთავრობის ცნობა მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ლონდონი. 26 სექტემბერი. პარიზში გამოქვეყნებული იქნა საფრანგეთის მთავრობის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: „უეჭველია, რომ თუ პასიური წინააღმდეგობა რურში შეწყვეტილი იქნება, ეს შექმნის ახალ მდგომარეობას, როდესაც შესაძლებელი გახდება გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყება. მოკავშირე მთავრობები ახლო მომავალში დაიწყებენ ამ მოლაპარაკებას.

ინგლისის პრესის დამახასიათებელი განცხადება.

ლონდონი. 26 სექტ. გერმანიის მთავრობის წრების გადაწყვეტილების გამო პასიურ წინააღმდეგობის განგრძობის შეუძლებლობის შესახებ, „მორნინგ პოსტი“ ფიქრობს, რომ საფრანგეთი ამ გადაწყვეტილების გამო მიიღებს ყოველგვარ ზომებს რურის ოკუპაციის შესამსუბუქებლად.

„დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს შეამსუბუქოს რურის ოლქიდან გადასახლებულთა და პასიურ წინააღმდეგობაში მონაწილე გერმანელების ხვედრი. ეს განცხადება ფრიად დამახასიათებელია, რადგან „დეილი მეილმა“ ყოველთვის კარგად იცოდა საფრანგეთის მთავრობის ზრახვები.

შტრეზემანის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა თავისი უმწეობა.

ბერლინი. 26 სექტემბერი. გერმანიის კაბინეტის თათბირზე პოლიტიკურ პარტიების და ოკუპაციით დაკავებულ ოლქების წარმომადგენელთა თანადასწრებით, შტრეზემანმა გააკეთა მოხსენება და განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობის ცდა მიაღწიოს საფრანგეთის და ბელგიისაგან გადასახლებულ გერმანელების დაბრუნებას და გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენას პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტამდე—უშედეგოთ დამთავრდა. გერმანიის მთავრობა როგორც წინად, მოითხოვს ამას, მაგრამ აღიარებს რომ არსებულ პირობებში პასიურ წინააღმდეგობის განგრძობა შეუძლებელია. გადასწყდა ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში მუშაობის განახლება, ხოლო სამოქალაქო მთავრობას მიენიჭა უფლება ვრცელი დეკლარაცია გამოაქვეყნოს ამის შესახებ.

პუანკარე და ბალდვინი.

ლონდონი. 25 სექტემ. „ობსერვერ“-ის ცნობით, პუანკარემ ბალდვინთან საუბრის დროს მოიწონა ინგლისის წინადადებები რურის ევაკუაციის და გერმანელ მოქალაქეთათვის ამნისტიის შესახებ, რის ნაცვლადაც ინგლისი გააუქმებს საფრანგეთის და იტალიის ვალებს. პუანკარე ეთანხმება ბალდვინს აგრეთვე გერმანიის სესხში ინგლისის მონაწილეობის საკითხშიაც „ფინანშელ ტაიმს“-ი იტყობინება, რომ ბალდვინმა აცნობა პუანკარეს გერმანიიდან რეინის ოლქის გამოყოფის და იქ მხოლოდ საფრანგეთის გავლენის განმტკიცების დაუშვებლობის შესახებ. ბალდვინის მახლობელ გამოსვლას მოელიან 27 სექტემბერს.

ინგლისი ამჩნევს დიდ პოლიტიკურ ცვლილებებს გერმანიაში.

ლონდონი. 25 სექტემბერი. მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს გერმანიის ამბებს, ამჩნევს რა ახლო მომავალში დიდ პოლიტიკურ ცვლილებებს. ინგლისს აშინებს შტრეზემანის მთავრობის ბედი, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ შტრეზემანს კიდევ დიდი პოლიტიკური ავტორიტეტი აქვს იმისათვის, რომ შესძლოს კაპიტულიაციის პროგრამის უმტკივნეულოთ გატარება. ფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობა, პუანკარეს წინაშე გერმანიის კაპიტულიაციის შემდეგ, მოითხოვს ინგლისის ხვედრი რეპარაციის დაკმაყოფილებას.

„ობიექტიური პირობები“

პარიზი. 25 სექტემბერი. ომის მსხვერპლთა ძეგლის გახსნის დროს მაასის და მოზელის დეპარტამენტებში პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი არაფერს დასთმობს, სანამ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. „გერმანიაო—სთქვა პუანკარემ, ვერაფრით ვერ შერიგებია იმ აზრს; რომ იგი ომში დამარცხდა. გერმანიამ უნდა შეიგნოს მხოლოდ წინააღმდეგობის უნაყოფობა და გულწრფელი გარანტიები მისცეს მოკავშირეებს, რომ ის შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

უკანასკნელ ხანებში გერმანიას ეტყობა, რომ ის მზად არის შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა. მაგრამ დეე გერმანია ნუ მოითხოვს ამისათვის საჩუქარს, რადგან პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა გამოწვეულია ობიექტიური პირობებით“.

აჯანყება ბულგარეთში

თუმცა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება აჯანყების ჩაქრობაზე, მაგრამ ბერლინში მისული ცნობები ადასტურებენ, რომ ბულგარეთში აჯანყებამ ფართე ხასიათი მიიღო.

უკანასკნელ ბრძოლის დროს ორთავე მხარემ დაჰკარგეს 684 კაცი მოკლული და 2,000 კაცი დაჭრილი.

22 სექტემბერს კაზანლიკის სხვადასხვა პუნქტებში კომუნისტებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

ბულგარეთის ტელეგრაფის სააგენტო სტყუის.

ბერლინი. 26 სექტემბერი. ბულგარეთის ტელეგრაფის სააგენტოს ოფიციალური ცნობები ბულგარეთში რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობის შესახებ გაბათილებულია ბელგრადიდან და ათინიდან ბერლინში მიღებულ ცნობებით.

აჯანყება წარმატებით გრძელდება.

ლონდონი. 26 სექტემბერი. უკანასკნელი ცნობები ბულგარეთის რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ არეულია. იმ დროს, როდესაც ბულგარეთის ოფიციალური სააგენტო იუწყება სოფიიდან, სადაც შემოღებულია სასტიკი ცენზურა, მთავრობის გამარჯვების შესახებ, ცნობები ბელგრადიდან (სამხრეთ-სლავია) მოწმობენ რევოლიუციონურ მოძრაობის წარმატებით განვითარების შესახებ.

რას ამბობს ოფიციოზი.

ვენა. 25 სექტემბერი. სოფიიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია:

„უკანასკნელ დღეებში რამოდენიმე ადგილას მოხდა შეტაკებები კომუნისტებთან. ზოგიერთ ადგილას ამბოხება ჩაქრობილია, სხვაგან იგი მძვინვარებს გაორკეცებული ძალით. არეულობა დაიწყო 20 სექტემბერს ძველ და ახალ ზაგორას რაიონში, 300 კომუნისტის რაზმმა იერიში მიიტანა ყაზარმაზე და გარნიზონის განიარაღება სცადა. ჯარებმა მოახერხეს თავდასხმის მოგერიება. მოკლულია 5 კაცი, დაჭრილია—10.

სირნანის რაიონშიაც კომუნისტები მოგერიებულ იქნა. უკან დახევის დროს მათ ააფეთქეს რკინისგზის ლიანდაგი. უკან დახეულთა დევნის დროს მოკლულია 30 კომუნისტი.

ახალ ზაგორაში 300 კომუნისტმა ხელთ იგდო პოლიციის პრეფექტურა, ქალაქის თვითმმართველობა და საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს. ქალაქი კომუნისტების განკარგულებაში იყო 15 საათის განმავლობაში. მოკლული იყო 34 კომუნისტი. თითქმის ყველა დანარჩენი ტყვეთ იყო წაყვანილი.

22 სექტემბერს კაზანლიკის სხვადასხვა პუნქტებში კომუნისტებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ჯარმა წესრიგი აღადგინა. მეამბოხეები მთებზე გამაგრდენ. დაწყებული სამხედრო მოქმედებები ჯერ არ დამთავრებულა.

684 მოკლული.

ვენა. 25 სექტემბერი. გაზეთები იუწყებიან გაფართოებულ ბრძოლებზე, რომლებიც რამოდენიმე დღე გრძელდებოდა და რამოდენიმე ასეულ მოკლულ და დაჭრილთა შესახებ, ორთავე მხარემ დაკარგეს 684 კაცი მოკლული და 2.000 დაჭრილი.

შეუბრალებლად აქრობენ მღელვარებას.

ვენა. 26 სექტემბერი. ბულგარეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა შეუბრალებლად ჩააქრონ მღელვარება. მთავრობას რეგულიარულ ჯართან ერთად კომუნისტების წინააღმდეგ დასძრეს მაკედონელი რაზმელები (კომიტაჯები).

ბულგარეთის მთავრობის გადაახლება.

ვენა. 26 სექტ. ბულგარეთის პარლამენტი დაითხოვეს. იმავე დროს დეკრეტი გამოიცა მთავრობის განახლების შესახებ. მთავრობიდან გადის ნაციონალისტ-ლიბერალურ პარტიის ბელადი, იუსტიციის მინისტრი სმილოვი.

მეფის მესამე დეკრეტით გამოცხადებულია საგანგებო წესები მთელს ბულგარეთში და გაფართოვებულია სამხედრო სასამართლოთა უფლებები.

იაპონიის ამბების გარშემო

ს. ს. რ. კავშირის მშრომელნი აღშფოთებული არიან საბჭოთა გემების დაუშვებლობით.

მოსკოვი. 26 სექტემბერი. ს. ს. რ. კ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა პროტესტის ნოტით მიმართა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს სურსათით დატვირთულ საბჭოთა გემის იოკოგამაში დაუშვებლობის გამო, აბათილებს რა ბრალდებას, რომ გემ „ლენინზე“ იყო კომუნისტური ლიტერატურა, გარეშე საქმეთა სახ. კომისარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუმცა საბჭოთა რესპუბლიკებზე დახმარების გემის განდევნამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, საბჭოთა მთავრობა კვლავაც გაუწევს დახმარებას იაპონიის ხალხს და სრულ თავაზიანობას დაიცავს იაპონიის მთავრობასთან დამოკიდებულებაში.

კომინტერნის მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისადმი

იმპერიალისტები ყველგან ერთია.

მოსკოვი. 26 სექტემბერი. იაპონიისა და ყველა ქვეყნის მუშებისადმი მიმართულ მოწოდებაში კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ იაპონიის იმპერიალისტური მთავრობა სტიქიურ უბედურებას იყენებს იმისათვის, რათა თავი განითავისუფლოს მოწინააღმდეგებისაგან მასიურ დაპატიმრებისა და მკვლელობის საშუალებით. როზა ლიუქსენბურგისა და ლიბკნეხტის დახოცვის მსგავსათ, საკაის მკვლელობა „გაქცევის ცდისთვის“ სხვა არაფერია გარდა ჩვეულებრივ ფარულ მკვლელობისა.

აღნიშნავს რა იმპერიალისტების გაიძვერაობას და სიძულვილს მუშათა კლასის მიმართ, კომინტერნი მოუწოდებს იაპონიის მუშებს, რომლებიც „არაფერს არ დაკარგავენ გარდა ბორკილებისა“ შექმნან, მიმართულებათა განურჩევლათ, საერთო მოქმედების კომიტეტი. რაც შეეხება ყველა ქვეყნის მუშებს, კომინტერნი მოუწოდებს მათ გამოსთქვან თავისი აღშფოთება იაპონიის მთავრობის საქციელისათვის.

იაპონიის მუშებმა უნდა შექმნან ძლევამოსილი კომუნისტური პარტია და დაირაზმონ პროფკავშირებში, რათა გლეხთა და მუშათა გაერთიანებულ ფრონტით გამართონ ბრძოლა ბურჟუაზიულ მთავრობის დამხობისა და მუშურ-გლეხურ მთავრობის დამყარებისათვის.

სხვადასხვა

ნორვეგია

ს. ს. რ. კ—ის წარმომადგენლის მიერ რწმუნების სიგელის ჩაბარება.

ქრისტიანია. 25 სექტემ. ს. ს. რ კავშირის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ ჩააბარა პრემიერ ბერგს რწმუნების სიგელი.

საფრანგეთი

ახალი წევრების მოზიდვა საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი. 25 სექტემ. სენის ფედერაციის კომუნისტური პარტიის პლენუმმა დაადგინა ოქტომბერში კამპანია მოაწყოს კომპარტიის ახალ წევრთა მოსაზიდავად.

იტალია

მემარცხენე სოციალისტების დაპატიმრება

რომი. 25 სექტემ. კიოლნში დააპატიმრეს და სამართალში მისცეს კომპარტიის მომხრე სოციალისტები: ჯენალი, ტაოკა, ლეონეტტი, მონტანიარი, სტანჩიანი და ტომიატი. „ილ-მონდო“-ს გადმოცემით, სოციალისტები დაუპატიმრებიათ კრებაზე, რომელზედაც იხილავდნენ საკითხს ყოველკვირეულ გაზეთ „მუშათა სახელმწიფო“-ს ყოველდღიურ ორგანოთ გადაკეთების შესახებ.

ოსმალეთი

მებეჭდავთა ნაწილობრივ გამარჯვება.

ანგორა. 25 სექტემბერი. სტამბოლში მებეჭდავთა გაფიცვა მუშების ნაწილობრივი გამარჯვებით დასრულდა.

კუნძულ იმბროსისა და ბოზდინას დაჭერა

ანგორა. 26 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა ბერძნების მიერ განთავისუფლებული კუნძულები იმბროსი და ბოზდინა.

იაპონია

საგარეო სესხი.

კობე. 25 სექტემბერი. ფულის ნაკლებობა ძლიერდება მორატორიუმის გამოცხადების გამო და იმისათვისაც, რომ ბანკები არავის ეხმარებიან. მთელი ოქროს თადარიგი იაპონიის აღდგენას მოხმარდება. კაბინეტს თათბირი აქვს საგარეო სესხის შესახებ. გარიგებანი ფაქტიურად შეჩერებულია.

იოკაგამას არსებობა საეჭვოა.

ვლადივოსტოკი. 25 სექტემბერი იოკაგამაში ტაიფუნმა გაანადგურა ახლად აგებული დროებითი ყაზარმები. დაუზიანებელი დარჩა მხოლოდ 5 შენობა. იაპონიის მთავრობა იხილავს საკითხს იოკაგამას არსებობის შესახებ, რადგანაც საკითხი დაისვა, რომ ტოკიო გადააკეთონ დიდ საზღვაო ნავთსადგურად არხის გაყვანის საშუალებით.

ესპანეთი

სინდიკალისტების იმედები.

პარიზი. 25 სექტემბერი. „პტი პარიზენ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს, ესპანეთის სინდიკალისტთა ბელადმა ლესტანმა განაცხადა: ესპანეთის სინდიკალისტებს გადატრიალებამ მოუმზადებლად მოუსწრო, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დერივერას დიქტატურა ხანგრძლივი არ იქნება: იმის დიქტატურას სინდიკალისტები შესცვლიან.

ინგლისი

საიმპერიო კონფერენციის წინ.

ლონდონი. 25 სექტემბერი. ოქტომბრის 1-ს იწყება ინგლისის საიმპერიო კონფერენცია. გაზეთები მომავალ კონფერენციას თავდაჭერით ეკიდებიან და, როგორც სჩანს, დიდს იმედებს არ ამყარებენ მასზე მეტროპოლიისა და ახალშენების ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაში.

აფრიკა

ადგილობრივ მკვიდრთა აჯანყება.

ვენა. 26 სექტ. ტრიპოლიტანში ბრძოლა მოხდა იტალიის ჯარისა და აჯანყებულ ადგილობრივ მკვიდრთა შორის. აჯანყებულები დამარცხდნენ.

რუმინეთი,

ესპანეთის მსგავსათ

ვენა. 26 სექტემბერი. წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ფაშისტური ორგანიზაციები სემიგრადში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდენ ოქტომბრის დასაწყისისათვის. რუმინეთის მთავრობამ, რომელიც დღევანდლამდე ფაშისტებს მხარს უჭერდა, დაატუსაღა ფაშისტების ბელადები. ფაშისტებს უპოვნეს ცნობები, რომლის მიხედვითაც საქმეში გარეულია 6 გენერალი, რომელთაც თვალსაჩინო თანამდებობა უჭირავთ ჯარში, ამ ცნობებიდან ეტყობა, რომ ტახტის მემკვიდრე დაინტერესებული ყოფილა გადატრიალებით ესპანეთის მსგავსად.

რუმინეთის პრემიერს ბრატიანუს განზრახვა აქვს მთავრობიდან გამორიცხოს ფაშიზმის მომხრე მინისტრები. სამხედრო მინისტრი ვარდალესკუ გენერალური შტაბის უფროსად ინიშნება.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ელზას-ლოტარინგიის კავშირები და კომპარტია.

როგორც ვიცით, ელზას-ლოტარინგიის პროფკავშირთა საოლქო გაერთიანების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია ელზას—ლოტარინგიის კავშირებსა და კომუნისტურ პარტიას შორის ორგანიული კავშირის შექმნის შესახებ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ, მიიღო რა ცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ, წერილით გადასცა ელზას—ლოტარინგიელ ამხანაგებს, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პროფინტერნის მე-2 კონგრესის რეზოლიუციებს, რომლის ძალითაც პირდაპირი კავშირის დაწესება პარტიასა და კავშირებს შორის ფორმალურათ დაუშვებლათ ითვლება. რომ არ გამწვავებია დამოკიდებულება იმ სინდიკალურ ელემენტებთან, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით ილაშქრებენ ამ კავშირის წინააღმდეგ, პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ წინადადება მისცა ელზას—ლოტარინგიის კავშირებს უარი სთქვან მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და კომუნისტური ორგანიზაციების მიმართ დაიკავონ მეგობრული თანამშრომლობის პოზიცია და, ამავე დროს, დაიცვან ორთავე ორგანიზაციის აბსოლიუტური დამოუკიდებლობა.

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს ამ წერილის გამო, ელზას-ლოტარინგიის პროფკავშირთა საოლქო გაერთიანებამ დაადგინა გააუქმოს თავისი წინანდელი დადგენილება. ამის გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ რევოლიუციონური მოძრაობის ძალა მდგომარეობს არა წესდების ამა თუ იმ მუხლში, არამედ ყველა სოც.-რევოლიუციონურ ორგანიზაციების ფაქტიურ თანამშრომლობაში. ამავე დროს ელზას-ლოტარინგიის კავშირების აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა შექმნას კავშირების და კომპარტიის წარმომადგენლებიდან მოქმედების კომიტეტი, რომელიც უნდა იკრიბებოდეს ყოველთვის, როდესაც მდგომარეობა მოითხოვს ყველა პროლეტარულ ძალების შეერთებულად გამოსვლას, ელზას-ლოტარინგიის უნიტარული კავშირები მიმართავენ რეფორმისტულ კავშირებს და სოციალისტურ პარტიას მოწოდებით შექმნან ერთიანი ფრონტი საერთაშორისო კაპიტალიზმთან საბრძოლველად.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით . . .	8.000.000
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	8.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის . .	5.000.000
ერთი ეკზემპლიარი	300.000

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა	2.000.000
ერთი ეკზემპლიარი	500.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—8

კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო ცოდნათა კლუბის სამხატ
ინსტიტუტი
(მიხაილოვის პრ. № 143) აცხადებს კონკურსს გულზე სატარებელ
ჟეტონებზე
საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთათვის.
საუკეთესო სურათისათვის დანიშნულია 2 ჯილდო:
7 და 3 საქონლის მანეთი.
პროექტების წარდგენის უკანასკნელი ვადა არის ა. წ. 5 ოქტომბერი დღის 12 საათ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტში.
საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე: მ. ესხენი.

წითელი რადიოგრამები

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტის მუშაობა.

ამხ. კლარა ცეტკინის მოხსენება.

მოსკოვი. 26 სექტემბერი. პრესის სახლში გამართულ პრესის საღამოზე, რომელიც მოაწყო საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტმა, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. კლარა ცეტკინი, რომელმაც დაახასიათა საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტის მუშაობა, როგორც ძლიერ მნიშვნელოვანი, რომელიც მიზანათ ისახავს დიდ ჰუმანიურ მიზნებს. საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტი ეწევა დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას და წარმოადგენს გამაერთიანებელ ძალას საბჭოთა რესპუბლიკების და დასავლეთის ცოცხალ ძალებს შორის. მისი მუშაობის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია პრესის დახმარებაზე. კლარა ცეტკინი მოუწოდებდა პრესის წარმომადგენლებს დაეჭირათ მჭიდრო კავშირი საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტთან.

დებულება საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

მოსკოვი 26 სექტ. თანახმად შემუშავებულ დებულებისა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად საკავშირო ცაკის მომავალ სესიას, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო წარმოადგენს საკავშირო ცაკის აღმასრულებელს და განმკარგულებელ ორგანოს, აერთიანებს და განაგებს კავშირის ყველა სახალხო კომისარიატების მუშაობას, სცემს დეკრეტებს და დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულო არიან ს. ს. რ. კ. მთელს ტერიტორიაზე. საკავშირო სახალხო კომისართა შემადგენლობა: თავმჯდომარე, მისი მოადგილე, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, სამხედრო კომისარი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი, გზათა სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე, შრომის სახალხო კომისარი, სასურსათო სახ. კომისარი, ფინანსთა სახ. კომისარი. ყველა დეკრეტების და დადგენილებების პროექტები, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნენ საკავშირო ცაკის და მისი პრეზიდიუმის მიერ, წინასწარ წარდგენილი იქნებიან განსახილველათ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში.

ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფების ჩერვონეცით ანგარიში.

მოსკოვი 26 სექტემბერი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის ჩერვონეცის მანეთებით ანგარიშის პროექტი.

ბაქოს და გროზნოს ნავთის ამოღების პროგრამა 1924 წლისათვის.

მოსკოვი 26 სექტემბერი. მომავალი წლისათვის შემუშავებული პროგრამის თანახმად, ნავთის ამოღება ბაქოში და გროზნოში განისაზღვრება 400 მილ. ფუთის ნაცვლათ 340 მილიონისა, რომელიც აღნიშნული იყო შარშანდელ პროგრამაში. ბაქოში განზრახულია უმოქმედოთ დატოვებული 370 ხვრელის ექსპლოატაცია, გროზნოში—511.

დონის აუზი ცოცხლდება.

მოსკოვი 26 სექტემბერი. მიმდინარე წლის ზაფხულში დონის აუზს ემჩნეოდა წარმოების ჩვეულებრივი დაცემა. ივლისის და აგვისტოს განმავლობაში ამოღებულია 75 მილ. ფუთი ნახშირი, როდესაც შარშან ამავე თვეების განმავლობაში ამოღებული იყო 42 მილ.

კომუნ. ახალ. კავშირის ც. კ. პლენუმის გაფართოვება.

მოსკოვი 26 სექტემბერი. რუსეთის კომუნ. ახალგ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი ოქტომბრის 15-ს იწვევს გაფართოებულ პლენუმს. დღის წესრიგში დასმულია მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოხსენება რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტის ბიუროსი და სხვ.

გემის დაღუპვა.

ვლადივოსტოკი 26 სექტემბერი. გემი „ერევან“-ი მდ. ამურის შესართავთან კუდიანმა ქარმა ღუზიდან აწყვიტა და ხაბაროვსკის მახლობლად დასძირა.

ჯაშუშობისათვის.

სიმფეროპოლი. 26 სექტემბერი. ჯაშუშების ორგანიზაციის 4 ს ბელადს დახვრეტა მიუსაჯეს, დანარჩენებს—ციხე. ისინი, თურმე პოლონეთის კონტრ-მზვერავ განყოფილებას სამხედრო ცნობებს აწვდიდნენ მინსკში.

ფართო სესხი მუშებს

მოსკოვი. 26 სექტემბერი. მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოებამ დაიწყო მუშებისათვის სესხად მიცემა პირველ საჭიროების ნივთებისა, რომელსაც უზარმაზარ მაღაზიებიდან ურიგებენ. თითო მუშას ეძლევა სესხად 50 საქონლის მანეთის ნივთები 6 თვეში ნაწილ ნაწილად გადახდით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

ამხ. მარუშინის დამტკიცება.

ბაქო. 25 სექტემბერი. ბაქოს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაამტკიცა ამხ. მარუშინი.

ანინო სამაზრო ქალაქია.

ბაქო. 25 სექტემბერი. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ახალშენინინო სამაზრო ქალაქად გადაკეთდა.

მუშათა უნივერსიტეტი.

ბაქო. 25 სექტემბერი. ბაქოს პოლიტგანათლების განყოფილებას ოქტომბრის 1-დან განზრახული აქვს გახსნას მუშათა უნივერსიტეტები ბაქოსა და მის გარე უბნებში.

ელექტრო-სადგური.

ბაქო 25 სექტემბერი. აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანმა ამხ. ყარაევმა ნუხაში დაათვალიერა ელექტრო-სადგურის მუშაობა, ხუთი ჩერვონეცი შესწირა ამ საქმის გასაძლიერებლად და მოწოდებით მიმართა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს, ბაქოს კავშარს, ბაქოს ქალაქის საბჭოს, აზერბეიჯანის საგარეო ვაჭრობის სამმართველოს და თურქულ გაზ. „კომუნისტ“-ს, რათა იმათაც დახმარება გაუწიონ ნუხელებს ელექტრო-სადგურის აგებაში.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(26 სექტემბერი).

ჩერვონცები — — —	49,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	46,300
ჩეკები —	43,500
დოლარები ეფექტ. —	10,000
„ ჩეკები —	9,300
ოსმ. ქაღ. ლირა	6.250
იტალიური ლირა	325
ფრანგული ფრანკი	775
საბჭ. ფულის ნიშნები	15 [illegible]

ბირჟის მიწოდება.

(26 სექტ.)

საწერი ქაღალდი. კანაფი და თოკები. გოგირდი „სუბლიმე“. სკიპიდარი. ტომრები ფხვნილი შაქარი რუს. ფანერა მუხის, კაკლისა და სხ. მატყლი საღებავები. რკინეული. რუს. ქართ. ფართლეულობა. აგური. ფანჯრების მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი 1 ხარ. „პეტუხ“ და სხვ. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. ქვა-მარილი ნახიჩევანისა. ბორჯომის კანიფოლი. ბამბა. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.

ოფიციალური გარიგებანი.

(26 სექტემბერს)

ფქვილი 2 მან. 60 კაპ. ჩერვონცები ფუთში ფრანკო-ტფილისი. შემოდგომის მატყლი 17 მან. ჩერ. ფ. ფრანკო სად. ექსტაფა და ევლახი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ტფილისის ბაზრის განწყობილება 26 სექტ. შაქრის ბაზარზე—სუსტი განწყობილებაა; ხორბლის ბაზარზე—განწყობილება მტკიცეა; მცენარეულ ცხიმების ბაზარზე—სუსტია; დანარჩენ ბაზრებზე ცვლილება არ მომხდარა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(25 სექტ.)

ჩერვონცების და დანარჩენ ვალიუტის კურსი წინანდებურად ზევით იწევს: ღლის საბჭ ფულის ნიშნების კურსი ცოტად დაეცა.

მუშკოპის ფასები.

(26 სექტემბერი).

პური 1 ხარ.	— 300-ათ.
პური 2 ხარ.	— 180
შაქარი რაფინადი	—2,500
ფხვნილი შაქარი	—2110
ძროხის ხორცი	—1 მილ.
ცხვრის ხორცი	—1400 ათ.
ალდაშის ბრინჯი	—539
მაკარონი	—784
კართოფილი	—100

ტფილისის ბაზრის ფასები.

(26 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. გირ.	—350
პური 2 ხარ. გირ.	200
ძროხის ხორცი	— 1200
ცხვრის ხორცი	— 1500
ბრინჯი გირ.	— 600
მაკარონი	— 800
კართოფილი	— 125 -150
შაქარი — რაფ.	— 2500—2600
ფხვნილი შაქარი	— 2250
კართოფილი	—125—150

საფეიქრო, ერბოს და საპნის დამმუშავებელი წარმოებები საქართველოში.

საფეიქრო და ერბოსა და საპნის წარმოების ტრესტი წარმოადგენს შემდეგ წარმოებათა გაერთიანებას: ბამბის სართავ ქარხნის, საპნის ქარხნის, ერბოს დამმუშავებელ ქარხნისა და წმინდა ბამბის ფაბრიკისა.

ყველა აღნიშნულ წარმოებებში აგვისტოს დამლევში ირიცხებოდა 75 მწარმოებელი მუშა, 42 არა მწარმოებელი მუშა და 23 მოსამსახურე. ნედლი მასალის ნაკლულევანებამ, პერიოდულ რემონტის საჭიროებამ და და საზაფხულო სეზონმა, როდესაც მუშებს შვებულება ეძლევა, დააყენებს ტრესტის გამგეობა შემდეგი პრესპექტივის წინაშე: ან სრულიათ შეეწყვიტა მუშაობა ქარხნებში, ან შეემცირა მათი დატვირთვა. ამრიგათ, ერბოს დამმუშავებელი ქარხანა აგვისტოში სრულიათ არ მუშაობდა და ბამბის სართავი ფაბრიკა მუშაობდა სულ 14 დღეს.

საპონზე და გიგროსკოპიულ ბამბაზე მოთხოვნილების გაძლიერების გამო, ამ საგნების წარმოება გაიზარდა. აგვისტოს განმავლობაში დამუშავებულია 4.912 ფუთი საპონი, 44 ფუთი და 32 ნახ. გირვანქა გიგროსკოპიული ბამბა, 39 ფუთი და 15 გირ. ბამბა, 39 ფუთი და 15 გირ. ბამბის ნართვი და 9 ფუთი და 24 გირვ. გრეხილი ძაფი.

გაძლიერებულ პროდუქციისა და უახლოეს მომავალში ნედლი მასალის—ნედლი ბამბის შეძენის მხრივ ხელსაყრელ პერსპექტივების გადაშლის გამო ამ წარმოებების ხარჯებიც წინა თვეებთან შედარებით გაიზარდა 14 პროცენტით, საზოგადოთ, ტრესტი უზრუნველყოფილია ნედლი მასალის მარაგით საფეიქრო ფაბრიკისთვის და საპნის ქარხნისთვის 3 თვით, ერბოს დამამუშავებელ ქარხნისთვის კი 1 ნახ. თვით.

ტრესტის პროდუქციის, სახელდობრ,—საპნის, ნართავის და ოლიფის,—რეალიზაცია წარსულ თვეებთან შედარებით გაიზარდა. დანარჩენი ნაწარმოებნი კი (გრეხილი ძაფი, ქაღალდის ბამბა, შალი, მიკროსკოპიული ბამბა) ნაკლებათ არის გასაღებული.

გასაღების მხრით ტრესტის მთავარ ფაბრიკებს ფაბრიკატებს წარმოადგენს საპონი და ნართავი, რომლებიც შესამჩნევ მეტოქეობას ეწევიან არა მარტო ტფილისის, არამედ ბაქოს ბაზარზედაც, სადაც კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს მრავლათ გამოაქვთ ასეთივე საგნები, განსაკუთრებით საპონი.

შესყიდვის სეზონის დადგომის გამო, გამგეობამ გააძლიერა ნედლი მასალის შესყიდვის ოპერაციები: დადებულია რამოდენიმე ხელშეკრულება ბამბის და ბამბის თესლის შეძენისათვის. უკვე შეძენილია რხქანებისთვის საჭირო დიდძალი ნედლი მასალა. გამგეობას შეუძლია უფრო ფართედ განავითაროს შესყიდვის ოპერაციები, რადგან ტრესტმა მოიპოვა ნდობა კომერციულ წრეებში. სახელმწიფო ბანკი იღებს ტრესტის ვექსილებს 10.600 ჩერვონეცის სესხს აძლევს მას.

ლითონის განყოფილებაში.

ლითონის განყოფილებაში 5 წარმოება მუშაობს: კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა „26 კომუნარის“ სახელობის მანქანათა საამშენებლო და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, სტალინის სახელობის სარემონტო სახელოსნოები, სპილენძის ქარხანა და ელექტრონის სადგური. აღნიშნულ წარმოებებიდან აგვისტოში სრულიათ არ მუშაობდა მხოლოდ სპილენძის ქარხანა მისი რემონტის გამო.

აგვისტოს დამლევისთვის ლითონის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვს შეადგენდა 428 კაცი. მათ შორის მწარმოებელი მუშებია—266 კაცი, არა მწარმოებელია—50 და მოსამსახურეა—45.

ცარიელ დღეების რაოდენობა თებერვლიდან დაწყებული (153 დღე) პირველ თვეებში თანდათან ეცემოდა და ივნისიდან კი მათი რაოდენობა მტკიცე პროცენტათ იქცევა. ეს გარემოება დაკავშირებულია ხელფასის მდგომარეობის გაუარესებით, როდესაც სანარდო ხელფასიც ველარ წარმოადგენს ინტენსიურ მუშაობის საკმაო სტიმულს და როდესაც მუშას წარმოების გარეშე უხდება კომპენსაციისათვის სამუშაოს ძებნა.

მუშათა საშუალო ხელფასი უდრის 26,2 საქ. მანეთს.

აგვისტოში უმოძრაოთ მდგომ სპილენძის ქარხნის მუშაობა ამ თვეში გამოიხატა მხოლოთ წინანდელ პროდუქციის რეალიზაციაში, რომლის მთავარ მომხმარებელს გლეხობა წარმოადგენდა.

რაც შეეხება საქარხნო მუშაობას, იგი ნელი მაგრამ სწორი ნაბიჯით იზრდება. აგვისტოში სულ მუშაობა გამოიხატა 15969 ჩერვონეცის მანეთით. განყოფილების ყველა წარმოებათა მუშაობა საერთოდ გამოიხატა 26768 ჩერვონეცის მანეთით. ამ თანხიდან გასაღებულია 23.203 ჩერვ. მანეთის პროდუქცია. გასაღებულ პროდუქციიდან კერძო პირთა წილს შეადგენს 19 პროც., სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წილს—დანარჩენი 81 პროც.

საბრუნავ საშუალებათა ნაკლულევანებას დიდი ვნება მოაქვს ლითონის განყოფილებისათვის, რომელსაც მოკლებული აქვს გეგმიან მუშაობის წარმოების საშუალება.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ ლითონის განყოფილების ზოგიერთი წარმოებები, როგორც მაგალითად, ავტო-სახელოსნოები № 3, რომლებსაც უკანასკნელ ომის პერიოდში მთავარი საფრონტო სახელოსნოები ერქვა, ომის დროს წარმოადგენდენ კავკასიის ფრონტის მთავარ ბაზას, რომელიც სამხედრო საჭიროებებს ემსახურებოდა, გასაგები იქნება, რომ ამ წარმოების და სხვათა საბრუნავ საშუალებებით დაკმაყოფილება წარმოადგენს სახელმწიფოს გადაუდებელ ამოცანას.

საქართვ. სახ. მეურ. უმაღლ. საბჭოს სათბობის განყოფილებაში

წარსულ აგვისტოში ძალიან იკლო ნავთის ნაწარმოებთა მოხმარებამ, ამისდამიხედვით შემოსავალმაც საგრძნობლად იკლო (წინა თვესთან შედარებით 41,7 პროც.) მაგრამ ეს თვე უნდა ჩაითვალოს ზაფხულის მკვდარი სეზონის დასასრულად. განსაკუთრებით დაიწია წარმოებამ შემდეგ ჯგუფებში: „ვოლდოსვეტ“-ში (724.5 პროც.) ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ წარსულ თვეში წყალსადენმა მხოლოდ 655 ფუთი მოტორის ნავთი წაიღო მაშინ, როდესაც ივლისში წაიღო 33,688 ფუთი.

სამეურნეო საბჭო.

მომხმარებლობამ სხვა დარგებშიაც დაიწია, გარდა სამთო-მადნო მრეწველობისა, რომელსაც მიეცა 5,941 ფუთი მოტორის ნავთი, წინა თვეში კი მხოლოდ 1.566 ფუთი ჰქონდა მიცემული.

ეს განყოფილება გადავიდა შავიქვის საბჭოს ყრილობის და ჭიათურაში არსებულ კავშირის მადნეულობის საზოგადოების ხელში.

მაზუთი ყველაზე მეტი უნდება ტრამვაის საფეიქრო, კარაქისა და საპნის ტრესტებს.

ნავთი იძლევა უმთავრესად ნავთსადენის სამმართველოდან და სათბობის სამმართველოს განყოფილების დუქნიდან.

ბენზინი ამ საანგარიშო თვის განმავლობაში მიეცა მხოლოდ ს. ს. მ. უ. საბჭოს ცენტრალურ სატრანსპორტო სამმართველოს.

რაც შეეხება ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს, რომელიც სათბობის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება, ნახშირის გასაღების საქმე კალაპოტში დგება. რკინის გზა უკვე ეზიდება ქვანახშირს ორთქლმავალებისათვის და, ამას გარდა, ხელშეკრულებაა დადებული აზოვო-შავი ზღვის სანავოსნო საზოგადოებასთან 1 მილიონ ფუთ ქვანახშირის ჩაბარების შესახებ, რომელიც უნდა აუთაონ 1924 წლის ივლისამდე.

მოლაპარაკება სწარმოებს ტყვიბულის ქვანახშირის ფხვნილის გაყიდვის შესახებ ნოვოროსიისკში. ქვანახშირის გაზიდვის ზრდა ასწევს და მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს ჩვენი მრეწველობის ამ დარგს.

ამიერ-კავკასიის საქონლის-საფონდო ბირჟების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია

(სხდომა პირველი)

სხდომა იხსნება ა. წ. 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ტფილისის ბირჟის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელის მიერ, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში მიუთითებს იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლით დაძლეულ იქნა სამოქალაქო ომი, შესაძლებელი შეიქნა ჯერ ნგრევის დაძლევა და შემდეგ ეკონომიური ძლიერების აღდგენა. ბრძოლა ეკონომიურ ფრონტზე სწარმოებდა იმ წესით, რომელსაც ეწოდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა. რამდენადაც რესპუბლიკის ყველა ძალები მოწოდებულ იქნენ ეკონომიურ ძალთა აღსადგენათ, ფინანსიური მდგომარეობის გასაჯანსაღებლათ, იმდენათ საბირჟო კონფერენციასაც, რომელიც იხსნება დღეს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბირჟა არის მოწესრიგებული ვაჭრობის ცენტრი, ბირჟა თავს უყრის მოთხოვნილებას და მიწოდებას, გამოხატავს ბაზრის კონიუნქტურას, ქმნის ერთგვარ კომერციულ ეთიკას, ამზადებს მეურნეებს და კომერსანტებს საბჭოთა პირობებში და აგრეთვე ქმნის შესაძლებლობას იმ ეკონომიურ ძლიერების გამოჩენისათვის, რომელიც მოიპოვება ამა თუ იმ რესპუბლიკაში. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ არსებულ ბირჟებს აქვთ ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბირჟებმა დიდი როლი ითამაშეს ძლიერ საპასუხისმგებლო მომენტებში.

გარდა სახელმწიფო ვაჭრობისა, ბირჟაზე დიდ როლს თამაშობს კოოპერატიული და კერძო ვაჭრობა. როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა მთავრობა ყურადღებით ეპყრობა კერძო ვაჭრობას და მრეწველობას, ის ნდობას უცხადებს მათ იმდენათ, რამდენადაც მათი ინიციატივა მიმართულია საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური ძლიერების აღდგენა - განმტკიცებისაკენ. შემდეგ ამხ. ჩხენკელი იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში კერძო ვაჭრობა და კერძო ინიციატივა კიდევ უფრო მეტი გულისყურით მოეპყრობა ბირჟებს და აუცილებელ პირობათ მიიჩნევს აწარმოვოს მთელი თავისი ვაჭრობა ამ მოწესრიგებული ცენტრის—ბირჟის საშუალებით.

პრეზიდიუმის არჩევნები.

პრეზიდიუმში არჩეული არიან: გენკინი, კაზაკოვი, ჩხენკელი, გონჩაროვი, ბალტინი და როჯობოკი. კენჭისყრის და რეგლამენტის მიღების შემდეგ კონფერენცია შეუდგა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან.

ერევნის ბირჟის წარმომადგენლის მოხსენება.

მომხსენებელი აცნობს კონფერენციას ერევნის ბირჟის ზოგიერთ თავისებურ პირობებს, რაც გამოიხატება უმთავრესად სავაჭრო ოპერაციების სიმცირეში და რაც აიხსნება ამ მხარის ეკონომიური მდგომარეობით. მოხსენება იყოფა სამ ნაწილათ: 1) თავმჯდომარის საერთო ხასიათის მოხსენება, 2) მოხსენება სავალიუტო განყოფილების შესახებ და 3) მოხსენება საქონლის განყოფილების შესახებ.

მომხსენებელს აუცილებლათ მიაჩნია დეკრეტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს იმას, რომ ყველა გარიგებანი ბირჟაზე უნდა ინახებოდეს საიდუმლოთ. ეს მეტად საჭიროა იმისათვის, რომ მცხოვრებლებს და განსაკუთრებით კერძო ვაჭრობის წარმომადგენლებს, რომლებიც გაურბიან ოპერაციას სწორეთ იმისათვის, რომ ეშინიათ დაბეგვრისა და ადმინისტრატიული დევნის, არ ეშინოდეთ ბირჟაზე სიარულის. შემდეგ აუცილებელია ვალდებულათ გავხადოთ ყველა მოვაჭრეები მე-3-ე ხარისხის ზევით ჩაეწერონ თუ არა წევრებათ, მუდმივ მოსიარულეთ მაინც.

მომხსენებელი მიუთითებს აგრეთვე იმაზე, რომ სახელმწიფო ორგანოების უმრავლესობა გაურბის თავის ოპერაციების წარმოებას ბირჟის საშუალებით. სახელმწიფო ორგანოების ოპერაციების ბირჟის საშუალებით წარმოების აუცილებლობასთან ერთად, ისმება საკითხი მინიმუმის 50-დან 30 ჩერვონეცამდე შემცირების შესახებ.

დასასრულ მომხსენებელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ბანკები მეტოქეობას უწევენ ბირჟებს და გაურბიან მათთან შეთანხმებით მუშაობას.

ბაქოს ბირჟის წარმომადგენლის მოხსენება.

დასაწყისში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ძველი საზოგადო ტიპის ბირჟა გადაიქცა წმინდა სახელმწიფოებრივ დაწესებულებათ. ბაქოში ბირჟის მოწყობის დღიდანვე, საქონლის ოპერაციებს ბირჟაზე არ ჰქონდა ადგილი და ბირჟა იქცა მხოლოდ საფონდოთ. კერძო შუამავლობა ბაქოში ძლიერ განვითარებულია და უფრო ადვილათ ართმევს თავის თავის ამოცანას, უწევს დიდ დახმარებას სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ამა თუ იმ საქონლის შეძენა-გაყიდვის სახით. ასე თუ ისე ბაქოში საქონლის ბირჟა არ ყოფილა და არც არის ამჟამად.

ბაქოს ბირჟის წევრთა რიცხვი დაწყებული გასული წლიდან იმის ნაცვლათ, რომ მატულობდეს,—მცირდება.

ბირჟის გარეშე მორიგებათა რეგისტრაცია დაიწყო მხოლოდ მარტში ადგილობრივ ეკონომიურ საბჭოს საშუალებით. მომხსენებელი აღნიშნავს იმ დამახასიათებელ გარემოებას, რომ ბაქოს მოვაჭრე საზოგადოება შეეჩვია ძველ საბირჟო მუშაობას, შეეჩვია იმას, რომ ბირჟა ღიაა მთელი დღის განმავლობაში, შეიძლება, ძლიერ ბევრი იყო სავაჭრო ოპერაციები და მიტომ ერთი საათი არ იყო საკმარისი. შეიძლება სახელმწიფო ორგანოები კიდევ ვერ შეეჩვიენ, მაგრამ ბევრი და ძალიან ბევრი იყო განცხადება მიღებული თხოვნით ნება დაერთოთ მათთვის ეწარმოებიათ სავაჭრო ოპერაციები ბირჟის გარეშე დალალების საშუალებით. დალალებს შეეძლოთ უფრო ჩქარა მოეხდინათ ბირჟის გარეშე გარიგებანი და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს აუკრძალეს ეს მათ.

იყო შემთხვევა, როდესაც „აზნავთ“-მა, ამ დიდმა დაწესებულებამ, რომელსაც ჰყავს 45 ათასამდე მუშა, ვერ მოახერხა ერთ საათში ყველა ჩერვონცების რეალიზაცია სამუშაო ხელფასის დასარიგებლათ „აზნავთი“ ვერ ასწრებს მოახდინოს ეს ოპერაცია ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების სიმცირის გამო, ხოლო ჩერვონცების დარიგება არ შეიძლება. აქ დაისვა საკითხი კრების საათების გადიდების შესახებ.

უდიდეს როლს ბაქოს საქონლის ბირჟაზე თამაშობდა საქონელი, უმთავრესად შაქარი, მანუფაქტურა, პურეული, თევზეულობა, ბამბა, რკინეულობა, ნედლი მასალა. მთავარი საქონელი იყო ნავთი, რომელიც ამჟამათ შეადგენს ნავთის სინდიკატის მონაპოლიურ სარგებლობის საქონელს.

რაც შეეხება უცხოეთის ამა თუ იმ ვალიუტის მნიშვნელობას ბაქოს ბირჟაზე, მდგომარეობა ასეთია:

22 წელს პირველ რიგში იდგა ოსმალური ლირა, შემდეგ სტერლინგები, დოლარები, ფრანკები და მარკები.

23 წელს ლირა უკან იხევს და მის ადგილს იკავებს სტერლინგი, ხოლო შემდეგ დოლარი და ეხლა ოსმალური ლირას მესამე ადგილი უჭირავს. საერთოდ უცხოეთის ვალიუტაზე, თუმანის გამოკლებით, გარიგებები ძლიერ ნაკლებია.

საბჭოთა სასამართლო

ხარატიანის საქმე

საქმის ვითარება.

1922 წელს დეკემბერში ბათომის სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდა ბატალპაშინსკის პოლკის წითელ არმიელი ენსი, როგორც ავადმყოფი. მიუხედავათ ავადმყოფობისა, ენსი პირველად არ გაანთავისუფლეს, და სამსახურისთვის სავარგისად სცვნეს, ხოლო მეორეჯერ შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ენსს საზარდულის მიდამოში შეჩერებოდა სათესლე ჯირყვალი. ბათომის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმმა ხარატიანმა იკისრა ენსის მკურნალობა და დანიშნა დღე საოპერაციოდ სასქესო ჯირყვლის თავის ალაგზე მოსათავსებლად.

ამის შესახებ, რასაკვირველია, ეცნობა ჰოსპიტლის მოსამსახურე მედპერსონალს, რომელსაც დაევალა აგრეთვე ოპერაციაზე დასწრება.

რამოდენიმე დღის შემდეგ ექ. ხარატიანმა შესცვალა თავისი დიაგნოზი და ოპერაციის დღე დანიშნულ დღის ნაცვლად ახლობელ კვირა დღისათვის გადასდო.

ხოლო ამ დღეს ექიმ ხარატიანს უნდა გაეკეთებია ოპერაცია მამედ-ოღლისათვის, რომელსაც იგი კერძოდ შეუთანხმდა განკურნების შესახებ.

დანიშნულ დღეს ექ. ხარატიანს მართლაც ამოუღია სათესლე ჯირყვალი ენსისათვის, ჩაუდვია იგი განსაკუთრებულ ჭურჭელში ჩასხმულ ფიზიოლოგიურ ხსნილში და წამოუღია ჰოსპიტალში მოთავსებულ თავისვე ბინაზე, სადაც ამ დროისთვის მას უცდიდა ორი სპარსელი.

ერთს მათგანს მამედ ოღლისთვის უნდა გაეკეთებიათ ოპერაცია. მართლაც ექიმების ტროფიმოვის, ანტოსევიჩის და კოსტიუშკოს თანდასწრებით ექ. ხარატიანმა ენსის სასქესო ჯირყვალი ოპერაციის საშუალებით გადაუნერგა მოქალ. მამედ-ოღლის.

მამედ-ოღლისთვის გაკეთებულ ოპერაციისთვის ხარატიანმა სასყიდლად აიღო 43 ლირა, რომელთაგან ტროფიმოვისა და ანტოსევიჩისთვის მიუცია ათ-ათი ლირა, ხოლო კოსტიუშკოსთვის შვიდი.

ენსზე გაკეთებულ ოპერაციის შესახებ ხარატიანს არ უცნობებია არც ჰოსპიტლის სამხედრო კომისრისთვის და არც მთავარ სამხედრო ექიმისთვის, თუმც განსაკუთრებული ბრძანებით იგი ვალდებული იყო მათთვის შეეტყობინებია ოპერაციის ეს მოთხოვნილება.

ბრალდება.

ხარატიანს ბრალდება ის, რომ მან ისარგებლა რა თავის თანამდებობით, (სამხედრო ჰოსპიტლის ექიმის უფლებით) საკმაო საფუძვლის გარეშე მოაცილა წითელ არმიელ ენსს სასქესო ჯირყვალი იმ მიზნით, რომ ეს ჯირყვალი გადანერგა თავის პაციენტის—მამედ ოღლისთვის მის გასაახალგაზრდავებლად. და ამით ენსს ფიზიკური ვნება მიაყენა. ამ ოპერაციის დროს ხარატიანი სარგებლობდა სახელმწიფო იარაღებით და ოპერაციისთვის სპარსელისგან მიიღო სასყიდელი.

ტროფიმოვს ბრალი ედება მასში, რომ ის ხელს უწყობდა ხარატიანს ბოროტ-მოქმედების განხორციელებაში მით, რომ ესწრებოდა როგორც ენსის, ისე სპარსელზე ოპერაციების გაკეთებას.

წინასწარი გამოძიება.

წინასწარი გამოძიების დროს, ხარატიანმა ტროფიმოვმა განაცხადეს, რომ მათ განსაზღვრული გადაწყვეტილება ოპერაციის გაკეთების შესახებ მანამდი არ ჰქონიათ, ვიდრე ოპერაციას არ შეუდგენ. სასქესო ჯირყვლის ორგანიზმიდან ამოღების აუცილებელი საჭიროება გამოირკვა მხოლოდ ოპერაციის მსვლელობის დროს, ხოლო ჯირყვლით გადანერგვის იდეა სპარსელის ორგანიზმში მას აღეძრა ენსის ოპერაციის წინა დღით, რის შესახებაც მან აცნობა ექ. ტროფიმოვს. თუ ოპერაცია მან მოახდინა კონსილიუმის გარეშე ეს მიტომ, რომ იგი ენდობოდა საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას.

ამ ოპერაციის დროს იგი ხელმძღვანელობდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული ცოდნით და მეცნიერებისადმი სიყვარულით და სრულიად არ აინტერესებდა ნივთიერი სასყიდელი.

ექსპერტიზის დასკვნა.

საექსპერტოდ მოწვეული ექიმებს ვესელოვზოროვს და ზუნტურიძეს გამოაქვთ დასკვნა, სასქესო ჯირყვლი რომ ჯანსაღი გამომდგარიყო და მისი სასქესო ჯირყვლის ხელში ჩაგდება შეუძლებელი ყოფილიყო, მოსახერხებელი გახდებოდა ჯირყვლი ავადმყოფის მუცლის აბკის ქვეშ მოთავსება. თუ ენსი ამ ავადმყოფობით იყო დაავადებული, სამხედრო სამკურნალო კომისია მოვალე იყო განთავისუფლებია იგი 66 მუხლის ძალით სამხედრო სამსახურიდან.

ბრალდებული ხარატიანის ჩვენება.

ხარატიანი იძლევა ვრცელს განმარტებას სამის საათის განმავლობაში და სრულიად დამშვიდებული უპასუხებს ბრალმდებელის და დამცველის ყოველ კითხვებზე.

25 სექტემბრის ჩვენებაში ექ. ხარატიანმა გააცნო სასამართლოს შტეინახის და ვორონოვის ცდები, (ექსპერიმენტების) რომელიც მას შეუსწავლია უახლოესი სამკურნალო ლიტერატურით ქალაქ. ბათომშივე. მას შტეინრის თეორია დიდი ხანია აინტერესებს და ლექციაც კი წაუკითხავს ბათომის სამხედრო ჰოსპიტალში შემდეგ თემაზე: „გაახალგაზრდავება შტეინახის მეთოდების მიხედვით“ ლექციის მოსმენის შემდეგ საავადმყოფოს ერთს მოსამსახურის მამას წინადადებაც კი მიუცია მისთვის გაახალგაზრდავების მიზნით აპერაციის გაკეთების შესახებ, რასზედ მას თანხმობა განუცხადებია.

მამედ-ოღლის მან ექიმობა დაუწყო მას შემდეგ, როცა მამედ-ოღლის ვერც ბათომს და ვერც ბაქოში ვერ გამოენახა ექიმი, რომელიც თანხმობას განუცხადებდა მასზე მოსახდენ ოპერაციაზე სქესობრივი უძლურების მოსპობის მიზნით. თავის დებულების დასამტკიცებლად ექ. ხარატიანმა მოიყვანა მედიკური ლიტერატურიდან ციტატები და აღნიშნა; რომ ენსის ორგანიზმიდან ჯირყვლის ამოცლა არ მიაყენებდა ენსს არავითარ ვნებას და ეს აუცილებელიც იყო მისი გაჯანსაღებისათვის.

გაახალგაზრდავების თეორია

გაახალგაზრდავების თეორიის მამამთავრად ითვლება შტეინახი, რომლის სახელსაც იგი ატარებს. ჯერჯერობით ეს თეორია არ წარმოადგენს საბოლოოდ დამუშავებულ საკითხს; სწარმოებს მხოლოდ სხვადასხვა კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევანი. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაახალგაზრდავების პრობლემა, რომელზედაც მუშაობენ მრავალი მეცნიერები მომავალში ჩამოყალიბებული იქნება და კიდეც მოჰყვება მას პრაქტიკული შედეგები.

როგორ დაისვა ეს პრობლემა? ადამიანის სხეულის ყოველმხრივი შესწავლის დროს მეცნიერები ხვდებოდენ ისეთ ორგანოებს, რომელთა ფიზიოლოგიური ბუნება (მოქმედება) გამოურკვეველი იყო. მაგ. ადამიანის კისრის მიდამოში არსებობს ფარისებრი ჯირკვლი, რომლის მოქმედების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები იყო გამოთქმული.

ასეთი ჯირკვლები მრავალია ადამიანის ორგანიზმში: მკერდ-უკანა, თირკმელზედა, სასქესო ჯირკვლები, ტვინის დანამატი, ყვითელი სხეული (დედაკაცის საკვერცხეში).

ყველა ეს ჯირკვლები ეკუთვნიან შინაგან სეკრეციის ორგანოებს. დამახასიათებელ და განმასხვავებელი ამ ჯირკვლებისა არის ის, რომ მათ არ აქვთ სადინარი და ამიტომ შეუძლებელი იყო მათში გამომუშავებულ პროდუქტების (სეკრეტის) შესწავლა.

მხოლოდ ოპერატიულ ტეხნიკის განვითარებამ და მთელმა რიგმა ცდებმა ნათელი გახადა ამ შინაგან სეკრეციის ჯირკვლების ფიზიოლოგიური თვისებები. დამტკიცებულია, რომ ფარისებრი ჯირკვლი ხელს უწყობს ადამიანის ზრდას, და აწვდის ადამიანის ტვინს თირეოიდინს; ფარისებრი ჯირკვლის ნორმალური მუშაობა დამოკიდებულია სასქესო ჯირკვლების ნორმალურ განვითარებაზე. ორივე ეს ჯირკვლები კი განსაზღვრავენ ტვინის დანამატის მოქმედებას. აგრეთვე დამტკიცებული იქნა, რომ ფარისებრი და მკერდ-უკანა ჯირკვლის დაავადება იწვევს ადამიანის კრეტინიზმს, ხოლო ტვინის დანამატის დაავადება იწვევს აკრომეგალიას—ძვლების შეუჩერებელ ზრდას. ამგვარად დადასტურებული იყო, რომ გარდა ნერვიულ კოორდინაციისა ადამიანის ორგანიზმში ადგილი აქვს ქიმიურ კოორდინაციასაც.

როდესაც რომელიმე შინაგანი სეკრეტის ჯირკველი ოპერაციული საშუალებით ამოაცალეს, ადამიანის ორგანიზმს მაშინვე დაეტყო უეცარი ცვლილება ფარისებრი ჯირკველის ამოცლამ გავლენა მოახდინა ადამიანის ზრდაზე და სასქესო ორგანოების განვითარებაზე. თირკმელ-ზედაჯირკვალის ამოცლამ გამოიწვია ადდისონის ავადმყოფობა: სხეულის ტემპერატურა დაეცა ნორმაზე ქვევით. გულის მუშაობა შესუსტდა და ორგანიზმი მოკვდა.

როდესაც, პირიქით, ამა თუ იმ ჯირკველის მოქმედება რაიმე საშუალებით გააძლიერეს ამან გამოიღო სასურველი შედეგები იმ მხრივ, რომ ორგანიზმს გაჯანსაღება დაეტყო. ასე, მაგალითად თუ კასტრატს (ადამიანს, რომელსაც ამოცლილი აქვს სათესლე ჯირკვლები) დაუბრუნეს სათესლე ჯირკვლები, ორგანიზმს დაუბრუნდათ ნორმალური ადამიანის თვისებები.

შტეინახმაც მოახდინა ასეთი ცდები, მხოლოდ უფრო შორს წავიდა მან გადასდო ერთი ცხოველის სათესლე ჯირკველი მეორე ცხოველის ორგანიზმში და დაინახა, რომ უკანასკნელის ცხოველობითი ფუნქციები გაძლიერდენ. დაბერებულ ცხოველს, რომელსაც არ აქვს შეუღლების უნარი, ახალგაზრდა ცხოველის სათესლე ჯარკველის გადარგვის შემდეგ უბრუნდება ეს უნარი და დაბერების ყველა გარეგნული ნიშნებიც ესპობა, ორგანიზმი ახალგაზრდავდება.

გარდა ამისა ცდებით დამტკიცებული იქნა, რომ თუ მამალ ცხოველის სათესლე ჯირკველს გადაურგამთ დედალ ცხოველს და პირიქით, მათ ეცვლებათ ფსიქიური თვისებები. შტეინახის ოპერაციის შემდეგ დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ სუბიექტს უძლიერდება შეუღლების უნარი, ხოლო განაყოფიერება არ შეუძლია.

როდესაც ადამიანებზე მოახდინეს ცდები, დიდ სიძნელეს შეხვდენ, რადგან სათესლე ჯირკველი ოპერაციისათვის უნდა იქნას აღებული ისევ ადამიანის სხეულიდან. მაგრამ ამ მხრივაც მეცნიერებამ იპოვა გამოსავალი და რუსმა მეცნიერმა ვორონოვმა პარიზში მოახდინა მეტად საინტერესო ცდები მაიმუნის სათესლე ჯირკვლებით.

ქალების გაახალგაზრდავების ოპერაციები უფრო ძნელად სწარმოებს, რადგან ტეხნიკურად დიდ სირთულეს წარმოადგენს ეს.

ოპერატიულ ტეხნიკის და ორგანიულ ქიმიის განვითარების შემდეგ გაახალგაზრდავების პრობლემა გადაწყვეტილი იქნება საბოლოოთ.

ქრონიკა

— **სამხედრო ტრიბუნალში.** 28 სექტემბერს ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი გაარჩევს საქმეს ყოფილ ძირითად სამოსწავლო ათასეულის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მიხეილ შენგელიასი და იმავე კოოპერატივის გამგეობის წევრის ლავრენტი ლოლუას საქმეთ. მათ ბრალდება კოოპერატივის ფულის მითვისება. საქმის განხილვა დაიწყება დილის 9 საათზე სასამართლოს ქ. № 32. სამხედრო ტრიბუნალის აუდიტორიაში. დასწრება ყველას შეუძლია.

— **ახალი ქირურგიული განყოფილება.** ფოთის ქალაქის საავადმყოფოსთან გაიხსნა ქირურგიული განყოფილება.

— **უფასო ექიმობა აჭარაში.** აჭარის განსახკომის დადგენილებით, ყველა საექიმო პუნქტებში მოწყობილ იქნა მცხოვრებთა ფართე საექიმო დახმარება უფასოდ.

— **აისედორა დუნკანის უფასო სალამო ნაძალადევის თეატრში.** 25 სექტემბერს რკინისგზელ მუშებისთვის შესდგა აისედორა დუნკანის უფასო სალამო ნაძალადევში თეატრი სავსე იყო მუშებით.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** ბათომში დაწყებულია ეკვალიპტოვის ჯიშის ხეების გაშენება, რომელიც მოქმედობენ მალიარიის წინააღმდეგ. ხეების დარგვას ხელმძღვანელობენ სპეციაგრონომები.

— **შრომის ბირჟაში.** 25 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—541 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—138. სამუშაოზე გაიგზავნა—71.

— **ამხ. კამოს სახელობის მუშათა საავადმყოფოში.** ამხ. კამოს სახელობის მუშათა საავადმყოფოში ჯანსახკომის მიერ მოწყობილ იქნა რენტგენის კაბინეტი.

— **სკოლების შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს ყველა შრომის სკოლები და გადასდოს ამისთვის სათანადო თანხა.

— **მუშათა და წითელარმიელთა შვილებზე ზრუნვა.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებას მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში გამომუშავებული ინსტრუქცია მუშათა და წითელარმიელთა შვილების სკოლებში მიღების შესახებ.

— **სკოლების სამოსწავლო ნივთებით უზრუნველყოფა.** ქ. აღმასკომის განათლების განყოფილება შეუდგა სკოლების სამოსწავლო ნივთებით მომარაგებას.

— **სეზონის გახსნა ნაძალადევის მუშათა თეატრში.** ნაძალადევის მუშათა თეატრში სეზონი იწყება 30 სექტემბერს იბსენის „ექიმი შტოკმანი“-თ.

— **„თანამედროვე საბავშვო სახლი“.** გამოვიდა სახელგამის ახალი წიგნი „თანამედროვე საბავშვო სახლი“.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრალური პერსპექტივა

საკმაოდ განახლებულია საოპერო დასი. მის შემადგენლობაში შედიან საუკეთესო ძალები წარსული სეზონის შემადგენლობიდან და მოწვეული არიან ახალი მსახიობები რუსეთის სატახტო ქალაქების თეატრებიდან: მეცო-სოპრანოს პარტიიდან (პასუხისმგებელი) მოწვეულია პეტროგრადის სახელმწიფო საოპერო თეატრის (ყოფ. მარინის) მსახიობი ქალი რებონე. მარინის საოპერო თეატრი დიდი ხნიდან საუკეთესო თეატრად ითვლებოდა და მარტო ეს მოწმობს იმას, რომ რებონეს სახით ტფილისის ოპერამ შეიძინა დიდი არტისტიული ძალა. მსახიობი ქალის პირველი დებიუტი მოხდება სეზონის დასაწყისში. ის გამოდის ოპ. „კარმენ“-ში მთავარ პარტიაში. დრამატიული სოპრანოს პარტიისათვის მოწვეულია მოსკოვის ზიმინის ოპერის მსახიობი ქალი პანკრატოვა, ლირიული სოპრანოს პარტიისათვის მოწვეულია მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის მსახიობი მარკოვა. მომღერლებს სცენიური ნაწილი განვლილი აქვთ სტანისლავსკის სტუდიაში (სტუდია მუშაობს დიდ საოპერო თეატრთან).

სკოლა სტანისლავსკის, რომელიც პირველი დამაარსებელია მოსკოვის სამხატვრო თეატრის, გვაძლევს საბუთს ვსთქვათ, რომ მსახიობ მარკოვას სახით გვეყოლება პირველხარისხოვანი სცენიური ნიჭი. მომღერლის პირველი დებიუტი მოხდება ტატიანას პარტიაში (ევგენი ონიგინი). დრამატიული ტენორის და Mezzo-caractero-ს პარტიისათვის მოწვეულია ჩვენი თანამემამულე ევლახოვი, რომელიც მღეროდა რუსეთის სატახტო ქალაქების თეატრებში. ამავე ამპლუაზე მოსკოვის ზილინის ოპერის ტენორი მოსინი (მღეროდა ტფილისში რამოდენიმე წლის წინათ), ხოლო ლირიული ტენორის პარტიისათვის მოწვეულია ზავალოვი—კიევის ოპერის პრემიერი (რომელიც ზაფხულში მღეროდა თავის საკუთარ კონცერტზე წითელარმიელთა კლუბში), განახლებულია თითქმის სავსებით ბარიტონების ამპლუა. მოწვეულია დასის შემადგენლობაში ბარიტონი პოლიაევი (რომელიც მთელ რიგ სეზონებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა თავისი სიმღერით ტფილისის სცენაზე). მოწვეული არიან: ოდესის საოპერო თეატრის პრემიერი ბარიტონი (ლირიული) დევლეტი და ბარიტონი ელიოზაშვილი, რომელიც მღეროდა კიევის საოპერო თეატრში და შემდეგ ერთ სეზონზე ტფილისში. ჩვენ საშუალება გვქონდა მოგვესმინა ელიოზაშვილისათვის. ეს არის მომღერალი ლამაზი, მუსიკალური ხმით და სცენიური გარეგნობით. ახალგაზრდა მომღერლებიდან, რომლებიც ეხლა იწყებენ მუსიკალურ კარიერას, მოწვეული არიან: ქაშაკაშვილი (რომელმაც ჩინებულათ დაამთავრა გასულ ზაფხულში კონსერვატორია, ჯაყელის კლასში), თარხანოვი და ვენაძე (მეორე პარტიები). საპასუხისმგებლო რეპერტუარის შარშანდელ შემსრულებლებისაგან კვლავ მოწვეული არიან: ტენორი სარაჯიშვილი, ლირიული სოპრანო—ბოკოვა, კოლორატურული სოპრანო—პოპოვა, ბარიტონი—კრიჟანოვსკი, რომელიც მხატვრულათ ასრულებს ლირიული ბარიტონის პარტიას და საკამერო რეპერტუარს. კვლავ მოწვეული არიან ბასის პარტიის შემსრულებლები ისეცკი და საბინინი. bosso buffo დემიანენკო.

განზრახულია წარმოდგენების მთელი რიგი ტენორი ვაგის—შესანიშნავი იტალიური სკოლის მომღერლის მონაწილეობით. საგასტროლო სისტემა დაშვებული იქნება განსაზღვრული რაოდენობით. იანვრისათვის განზრახულია გასტროლები იტალიელ ტენორების როტას და ბარერის (მოწვეულნი არიან კონსერვატორიის მასწავლებლებით). მიიღებულია ცნობა, რომ [illegible] იდან ტფილისისაკენ. ექცევა სერიოზული ყურადღება რეპერტუარს, რომელიც განახლებული უნდა იქნეს. რეპერტუარში შეტანილია სამი ოპერა ვაგნერის ნაწარმოებიდან—ტრისტან და იზოლდა (პირველად ტფილისში), ტანჰეიზერი და ლოენგრინ, ყველანი მარჯანიშვილის დადგმით. შემდეგ განახლებული იქნება ჯორდანოს ნიჭიერი ნაწარმოები „ანდრე შენიე“ (ოპერის სიუჟეტით მსმენელი გადადის საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ხანაში); მთავარ პარტიებში გამოდის ვაგი—ანდრე შენიე და პანკრატოვა—მადლენ დე-კუანი. დაიდგმება საუკეთესო ოპერა დ'ალბერი „ვდოლინე“ (Tiefland). ახლდება როსინის ოპერა „ვილჰელმ ტელლ“ (სიუჟეტი აღებულია შვეიცარიის ავტოკრატიის უღლიდან განთავისუფლების ეპოქიდან); რუსული რეპერტუარის ოპერიდან დაიდგმება „ზოლოტოი პეტუშოკ“, ნიჭიერი პოპოვა შეასრულებს „შემახანის დედოფლის“ პარტიას (კოლორატურული სოპრანო), დაბოლოს წარმოდგენილი იქნება ქართულ ოპერების მთელი რიგი. ნიჭიერმა ზაქარია ფალიაშვილმა დაამთავრა ახალი ოპერა „დაისი“. ოპერის სიუჟეტი აღებულია საქართველოს მეთექვსმეტე საუკუნის ხალხურ ყოფა-ცხოვრებიდან. აქ კომპოზიტორი იცავს მუსიკის ხასიათში ფართო ევროპიულ მასშტაბს—კომპოზიტორი არ იცავს ახალ ოპერაში თავის couleur local-ს. შუა სეზონში სავსებით ახალი დადგმით წავა „აბესალომ და ეთერი“. ოპერას სდგამს მარჯანიშვილი, რომელიც ზღაპრულ ელფერით სისწორით იცავს ლეგენდას მეფე აბესალომ და ეთერის შესახებ, შეიძლება დაიდგას ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“, რომელიც, როგორც ამბობენ, უკვე დაამთავრა კომპოზიტორმა.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა ლეონ ფალიაშვილმა წარადგინა სამხატვრო კომისიაში თავისი პირველი სავსებით დამთავრებული ოპერა „ვეფხის-ტყაოსანი“. ახლო მომავალში მოხდება ამ ოპერის ჟიური. სამხატვრო ნაწილის საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს სამხატვრო საბჭო აკადემიური თეატრების დირექტორის ვლ. სიმონიშვილის თავმჯდომარეობით; საბჭოს წევრებათ იქნებიან ივ. ფალიაშვილი, მთავარი რეჟისორი რაპოპორტი და მარჯანიშვილი. განახლებულია ბალეტი ახალი ბალეტმეისტერის დილკავსკის (ზიმინის ოპერიდან) და პრიმა-ბალერინის ანდრეევას მოწვევით. ძველ შემადგენლობაში მოწვეულია შარშანდელი ბალეტი. განზრახულია მთელ რიგ ბალეტების დადგმა, მათ შორის „კავკასკიი ესკიზი“ იპოლიტოვ-ივანოვის. ორკესტრის დირიჟორები წინანდელია—ივ. ფალიაშვილი და ბ. ბრონი. ამას გარდა დირექციას მოლაპარაკება აქვს კიდევ ერთ დირიჟორთან. ორკესტრი საკმაოთ გადიდებულია—50 კაც., გუნდშიაც 50 კაც. ბაქოს ოპერის დირიჟორმა სტოლერმანმა წინათ უკვე თანხმობა განაცხადა ტფილისის ოპერაში მონაწილეობაზე, მაგრამ ეხლა უარი სთქვა და ამ სეზონში ის აღარ იქნება. სეზონის გახსნა განზრახულია 6 ოქტომბერს. სეზონი გაიხსნება წარმოდგენით მუშებისათვის და დაიდგმება კომპოზიტორ არაყიშვილის ნაწარმოები „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

მუხიკოსი.

—

— **სახალხო სახლში.** ქართული დრამის რეჟისორები ივ. ბარველი და მიხ. ღვამიჩავა შეუდგნენ პიესების დამზადებას. მზადდება დასადგმელათ „უნიადაგონი“, „ცოდვა“, „მეფის დალაქი“ და „საბედისწერო დამბაჩა“.

პროვინციაში

ქ. სურამი

ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, სურამის საზაფხულო თეატრი ლენინის სახელობისა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. ამ დღეს ხდებოდა გამოსალმება ადგილობრივ საზაფხულოდ მდგომ წითელარმიის. საღამოს ექვსი საათი არ იქნებოდა ჯერ, რომ მთელი ხაშურის პარტიული ამხანაგები, მუშა-მოსამსახურენი თავის ორკესტრით და სცენის მოყვარეებით მოადგენ თეატრს, რათა პატივი ეცათ უკანასკნელ გამომშვიდების დროს იმ წითელარმიისათვის, რომელმაც შეუფასებელი საქმე გაუკეთა სურამის რაიონის სოფლის გლეხობას. საპატივცემლო გამოსამშვიდობებელ მიტინგს ხსნის ხაშურის პარტიული კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ამხ. გეგეშიძე. ლაპარაკობენ: ამხ. ალ. ქებაძე—ხაშურის კომპარტიის სახელით, ბუხნიკაშვილი—ხაშურის რკინისგზელთა პროფკავშირის სახელით, ტატე ბუხრიკიძე—გლეხების სახელით, და ბესარიონ ებანოიძე—რკინისგზის მუშების სახელით. ყველა ამხანაგებმა გამოსთქვეს დიდი მადლობა წითელარმიისადმი, რომლის დაუფასებელ ნამუშევარს არ დაივიწყებს აქაური გლეხობა. შემდეგ საპასუხო სიტყვებს ამბობენ წითელ არმიის წარმომადგენლები: ამხ. კუზნეცოვი, ჰქუასელი, და დობრენკო. ყველანი თავის სიტყვებში დიდ მადლობას უცხადებენ ასეთ პატივისცემისათვის და ფიცს სდებენ მუშებისა და გლეხების წინაშე, რომ ისინი ერთგულად დაიცავენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. შემდეგ იმართება მოხსენებები. პირველ მოხსენებას კითხულობს ხაშურის ტეხნიკუმის გამგე ილია ფერაძე „მუშათა საკითხი საქართველოში“, მეორეს ამხ. გოგუაძე „მიწის ძვრა იაპონიაში და მისი მიზეზები“. მოხსენების გათავებისას ორკესტრი უკრავს არსენ ჯორჯიაშვილის ჰიმნს, ამხ. გოგუაძე აცნობს დამსწრე წითელარმიელებს, მუშებს და გლეხებს, არსენ ჯორჯიაშვილის პიროვნებას. შემდეგ ამისა ხაშურის სცენის-მოყვარეების მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ“, რომელმაც საუცხოვოდ ჩაიარა. სალამო იხურება „ინტერნაციონალით“ ღამის პირველ საათზე.

ი. გაგოშიძე.

ს. ახალქალაქი (გორის მაზრა)

ამ სოფლის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს წვრილი ხელოსნები და ვაჭრები შეადგენენ. ამისათვის ეს სოფელი აგრე რიგათ ხვნა-თესვას არ მისდევდა. ახლა კი, რომ იტყვიან ზოგი ჭირი მარგებელი არისო, აქაც ასე მოხდა. 1921 წლის მოუსავლობამ და გაჭირვებამ ეს არა მშრომელებიც ჩაითრია მეურნეობაში.

კულტურული მუშაობა ვერ არის

მუშათა ცხოვრება

მუშათა პრესის მოვალეობა

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში პრესა ერთ მძლავრ იარალს წარმოადგენს ბურჟუაზიის წელის გასამაგრებლად და მის ბატონობის განსამტკიცებლად.

ამისათვის ბურჟუაზია, გაბატონებული კლასი, არავითარ ხარჯებს არ ერიდება თავის ინტერესების დამცველ გაზეთების გამოსაცემად, რომლის საშუალებითაც ის იბრძვის მშრომელ ხალხს.

მაშასადამე, თუ კი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ასეთ მძლავრ იარალს წარმოადგენს პრესა და მისი საშუალებით სცდილობენ მუშათა მტრები თავიანთ ბატონობის განმტკიცებას, მით უმეტეს მუშათა პრესას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისთვის და მის ასამაღლებლად არ უნდა ვერიდებოდეთ არავითარ ხარჯებს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბურჟუაზია ყოველთვის სცდილობს პრესა გამოიყენოს მშრომელი კლასის საწინააღმდეგოდ, მის დასაბნელებლად.

პროლეტარიატმაც უნდა გამოიყენოს პრესა თავის იარალად თავის კლასიურ მტრების წინააღმდეგ.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს მუშათა პრესა უნდა შეადგენდეს ჩვენი ცხოვრების სარკეს, რომელშიაც მუდამ უნდა ვიხედებოდეთ და ნათლად ვხედავდეთ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და ავ-კარგს. პრესის საშუალებით უნდა გავიკაფოთ ის მძიმე გზა, რომელიც ჯერ კიდევ მოფენილია—ეკლით და სიბნელით.

მუშათა ხელისუფლების დროს პრესა მიუდგომელი უნდა იყოს, იგი ყველაფერს მოურიდებლად უნდა ამჟღავნებდეს, როგორც ნაკლს, ისე კარგ მხარეებს და ვინც კი ოდნავაც მაინც შემჩნეული იქნება ბოროტმოქმედებაში, ის უსათუოდ უნდა გამომზეურდეს დღის სინათლეზე პრესის საშუალებით, თუნდ დამნაშავე დიდი პასუხისმგებელი პიროვნებაც იყოს.

თუ მუშათა ხელისუფლების დროს პრესამ ცალმხრივობა გამოიჩინა, სისწორით არ აღნიშნა ყველა ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, მაშინ ის ფასს ჰკარგავს მშრომელი ხალხის თვალში და თავის მიზანს ვერ აღწევს.

და თუ ამ მხრივ დღემდის ცოტაოდენი ნაკლი ჰქონდა მუშათა პრესას და ის სავსებით ვერ გვიხატავდა ჩვენი ცხოვრების ავ-კარგიანობას, ეს ნაკლი მომავალში აუცილებლად გამოსწორებული უნდა იქნეს და მთელი პრესის ყურადღება მიქცეული უნდა იყოს საბჭოთა სახელმწიფოს აღორძინებისაკენ.

დღეს ჩვენი ქვეყანა. ძალიან ჩამორჩენილია საკუთარ მეურნეობას, საქარხნო-საფაბრიკო წარმოებას. სოფელი ჩამორჩენილია სწავლა-განათლებას; არ ვიცით სინამდვილით გლეხის ჭირვარამი, ვერ ვიხედებით მის გულის სიღრმეში, რომ სისწორით დავინახოთ ყველაფერი. ამისათვის პრესის მოვალეობა არის ყოველ ნაბიჯზე თვალყური ადევნოს ჩვენს ცხოვრებას, მოგვაწოდოს უტყუარი ცნობები და ასე თუ ისე გამოიხმაუროს საზოგადოებრივ მნიშვნელობის ყველა მოვლენებს.

პრესამ გამჭრიახი თვალ-ყური უნდა ადევნოს „მოხელეობას" როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რომ ბოროტად არავინ გამოიყენოს თავის თანამდებობა და ისეთი რამ არ მოახდინოს გლეხს, ან მუშას, რაც სიძულვილს გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ხელისუფლებამ უნდა გაუწიოს ჩვენს პრესას დიდი დახმარება და მისი განმტკიცებისათვის არ უნდა დაიშუროს არავითარი ხარჯები.

მუშკორი დ—ელი.

გვიკვირს, რად გვივიწყებენ

(შრომის კომისარიატის და ქალაქის აღმასკომის საყურადღებოთ).

საჭიროა აღვნიშნოთ ის მეტად ცუდი მატერიალური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან № 1 გამასწორებელ სახლის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები.

საზოგადოდ რომ არ ვსთქვათ ავიღოთ მაგალითად ექიმი და მომვლელი ქალები. ექიმმა აგვისტოს თვეში მე-14-ე ხარისხით მიიღო 70 მილიონი და მომვლელმა ქალებმა (თითომ) 30 მილიონი.

განა ასეთი ჯამაგირით შეიძლება თავის რჩენა?

ამასთანავე ხსენებული საავადმყოფო იმყოფება ქალაქის გარედ, ორთაჭალაში და მოსამსახურეთა 75 პროცენტს რამდენიმე საქონლის მანეთი უნდება თვეში ტრამვაის ფულად, რადგან ისინი ქალაქში, ცენტრში, ცხოვრობენ.

რაღა დარჩება მომვლელ ქალს თავის სარჩენად ასეთი ხარჯების შემდეგ ასეთ სიძვირეში? არაფერი თითქმის.

აქაურმა ადგილკომმა არა ერთხელ აღძრა შუამდგომლობა, მაგრამ მოსამსახურეები უფასო ტრამვაის მაინც ვერ ეღირსენ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ყოველივე ამას და მიღებულ იქნეს ზომები.

მუშკორი მახხი.

ასეთები უნდა გავცოცხოთ აუცილებლად

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ).

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში ყოფ. (ამჟამად შემოკლებულის) ამავე ფაბრიკის ელექტრონის სადგურის გამგის, მოქ. ბანკოვსკის მიერ შეკეთებულ იქნა ფაბრიკაში არსებული 12 ძალიანი მანქანა, რომელიც დანიშნული იყო კლუბის გასანათებლად.

პირველად მე შევეხები იმ დეფექტებს, რომლებიც დაშვებულ იქნა შეკეთების დროს.

1) არაა კარგად გასწორებული სარქველის ბერკეტი, რის გამოც მოსალოდნელია მუშაობის დროს მისი გატეხვა.

2) ზეთის გადასაცემი მილი გატეხილი დარჩა და ზეთს აქცევენ.

3) მანქანის იმ ნაწილზე, რომელიც ცილინდრს ზეთს აწვდის, ტყავის „რემენი"-ს მაგიერ უბრალო ძაფია გაკეთებული და

4) „ზაპალის" მანქვანები სუსტადაა შემაგრებული, რის გამოც მანქანა მუშაობის დროს „სლიუდა"-ის ისვრის.

ყველა აღნიშნულ დეფექტებსგარდა სადგური ელექტრონის გატარების და ტეხნიკურ მხრივ სრულიად უვარგისია.

განა ამას შეკეთება შეიძლება ვუწოდოთ?

განა შეიძლება თამბაქოს ტრესტის ტეხნიკურმა კომისიამ მიიღოს ასეთი შეკეთებული მანქანა?

შეკეთებულ მანქანის მიღება ხდება მარტო ერთი ინჟენერის თუ კომისიის მიერ?

აღნიშნული მანქანა კომისიის გარეშე მიღებულ უნდა იქნეს მარტო ინჟინერის ხარაზიანის მიერ.

მოქ. ბანკოვსკიმ ა. წ. 29 მარტს წარუდგინა თამბაქოს ტრესტს ხარჯთაღრიცხვა ხსენებულ მანქანის შესაკეთებლად, რომელშიაც ის ახალი ნაწილების შესაძენად ითხოვა 33 მანეთი ოქროთი და თავის სამუშაოსთვის ხელფასად—28 მან.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სამუშაო სადგურში მუშების მიერ კოლექტიურად იღება, მოქ. ბანკოვსკიმ ამას ყურადღება არ მიაქცია და მან ეს საქმე ჩუმად, საკუთრად, აიღო. როგორც საკუთრად აღებული საქმე საკუთრადვე უნდა მოეწესრიგებია იგი, მაგრამ მუშებს მან შეპირდა ფული, ისინიც ამუშავა და ფული კი არაფერი არ მიუცია მათთვის.

აშკარაა, რომ მოქ. ბანკოვსკი ინჟენერ ხარაზიათან ერთად კონტაქტში იყო.

ამასთანავე უნდა დავსძინოთ, რომ მოქ. ბანკოვსკი ამ ფაბრიკაში 18 წელიწადია მუშაობდა და მას მუდამ უნდობლად უყურებდენ ყველა მუშები.

შრომის ორგულობა და გაიძვერობა, აი მისი დევიზი.—ამბობენ მაზე ჩვენი მუშები.

ასეთი პირებისაგან უნდა გაიწმინდოს კავშირები და საბჭოთა დაწესებულებები.

მუშკორი მარხი.

ცენტრალურ მუშათა კლუბს დახმარება სჭირდება

(პროფკავშირთა საბჭ. და ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ბევრი დაწერილა ცენტრალურ მუშათა კლუბზე, ბევრი ნაყოფიერება და სარგებლობა მოუტანია ამ კლუბს მუშათა კლასისათვის.

აქ იმართებოდა წარმოდგენები, საღამოები, სიმფონიური კონცერტები და სხვა მთელი ზაფხულის სეზონში. ცენტრალური მუშათა კლუბი ერთად ერთი კულტურული სულის ჩამდგმელი იყო ამ რაიონის პროლეტარიატისა, ამ კლუბის საქმე კარგად დაიწყო, მაგრამ შესაძლებელია მისი საქმე კარგად ვერ დამთავრდეს. დღეს ცენტრალური მუშათა კლუბი განიცდის წარმოუდგენელ კრიზისს. რუსული პირველ საბჭოთა თეატრის დასს, რომელიც იდეიურად და ენერგიულად მუშაობს და ამ კლუბის სულის ჩამდგმელია, ძალიან ცოტა სუფსიდია აქვს. კლუბის ადმინისტრაცია მათ ვერ უზრუნველყოფს და ამ დასის დაკარგვით კი ამ კლუბს დაეკარგება მუშური სული. მუშათა კლუბი ისეთ ვალშია ჩაფლული განათების გამო, რომ თუ „უეს"-ს არ გადაუხადა მან ათი მილიარდი მანეთი, შეიძლება კატასტროფის წინ დასდგეს ჩვენი კლუბი. არც სცენის და კლუბის დაბალ მოსამსახურეებს ეძლევათ თავის დროზე ჯამაგირი. იმის ნაცვლად, რომ ამავე ეზოში „კინოს" ელექტრონის სადგურზე მეორე მოტორი შეკეთებულიყო, რომელიც მეორე წელიწადია ისე უმოქმედოდ არის, რითიც შეიძლებოდა კლუბის უფასოდ განათება, დღეს კი ათი მილიარდი მარტო განათების ვალი აქვს მუშათა კლუბს. გადასახდელად. „უესმა" ერთხელ უკვე გადაუჭრა სინათლე და მცირე ნაწილის შეტანით ძლივს იქნა სინათლე აღდგენილი. მოსალოდნელია ეს მოვლენა კიდევ განმეორდეს და ამიტომ საჭიროა დასახელებულ მოტორის შეკეთება კინოს ელექტრონის სადგურიდან სინათლის მისაღებად. მაშინ ჩვენი კლუბი ათეული მილიარდების ვალების გადასახადისგან განთავისუფლდება და მუშა-მოსამსახურეს თავის დროზე ჯამაგირის დარიგებაც შესაძლებელი გახდება.

მუშკორი ილი.—ვშიხრაჩ..ძე.

ასალგმავი სახლის პატრონი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩერქეზოვის ქუჩაზე № 36 მოთავსებულია სახლი, რომელიც ეკუთვნის მოქ. ქეთხუდოვს (ნიკოლოზის დროინდელი პოლკოვნიკია). ამ სახლში სცხოვრობენ უმთავრესად მუშა-მოსამსახურენი, ღარიბი მოქალაქეები და აგრეთვე ვაჭრებიც. სახლს დიდი შეკეთება სჭირია, გაფუჭებულია წყალსადენის მილები, ოთახებში ჭერი გახეთქილია და წყალი წვიმის დროს თავისუფლად ჩამოდის. საჭიროა სახურავის შეკეთებაც და შეღებვაც. ეზოში მუდამ სიბინძურე და სიჭუჭყეა, ნაგავი თავის დროზე არ გააქვთ; წყლის საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა, ზოგიერთ მდგმურების გულისათვის დანარჩენიც განიცდიან გაჭირვებას უწყლობისა გამო; ყურის მგდებელი კი არავინ არის. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არ ახსოვთ ამ სახლის მდგმურებს, რომ მოსულიყო „ბატონი" ქეთხუდოვი და მდგმურებთან ერთად მოეხდინა საერთო კრება, მოესმინა მათი გაჭირვება, და გაენაწილებინა ბინის ქირა, მოეწესრიგებინა წყლისა და სახლის შეკეთების საკითხი.

თვითონ ქეთხუდოვი ბატონურად სცხოვრობს სოლოლაკში და ჩვენი მუშების უბედურებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. დროა ეს ვაჟბატონი აილაგმოს და მუშებს მიეცეს საშვალება ადამიანურად იცხოვრონ.

მუშკორი მელითონე.

უნდა მოვსპოთ ეს საშინელი სენი

(ქალაქის მილიციის საყურადღებოდ.)

ტფილისის სადგურის მახლობლად ხშირად საღამოებით თავს იყრიან ახალგაზრდა ქალები; ყველა ეროვნების ქალსა ნახავთ აქა. ყველა ქალს ყავს თავისი დამცველი მამა-კაცი, რომელიც შეკითხვაზე, გიპასუხებენ, რომ ისინი მათი ქმრები არიან. ნამდვილად კი ეს ვაჟბატონები ატყუილებენ ჩამოსულ სოფლელებს, და სადგურის მუშებს და დაუსჯელად ვაჭრობენ ცოცხალი სხეულით. ერთხელ ასეთ ქალს შევეკითხე,—რადა გაქვს თვალები დასივებული მეთქი? „ჩემმა ქმარმა მცემა"-ო მითხრა მან და მიმითითა იქვე მდგომ ერთ ჯიბგირზე. აი ეს ხალხი ყოველ დილა საღამოთი იყრის თავს სადგურზე, მილიციონერები ამ სურათს უყურებენ ან გულგრილად, ან და სიცილ-ხარხარით. ეს მოვლენა კი დიდს საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ჯანმრთელობისათვის და ამიტომ საჭიროა ამას დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო.

მუშა გიორგი დანდუროვი.

მუშათა ქრონიკა

საქართ. პროფ-კავშირთა საბჭომ თავის წარმომადგენლებად სახალხო სახლის ქართულ დრამის გამგეობაში დანიშნა ამხ. ამხ. ი. ჩელიძე და ი. ელიაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო, თქვენი გაზეთის 219 ნომერში მოთავსებულია ცნობა, თითქოს გიორგი მოისრაფეშვილი იყოს დატუსაღებული ქურდობის შესახებ. ვაცხადებ, რომ აღნიშნული მოისრაფეშვილი მე არ ვარ და მასთან არავითარი საერთო არ მაქვს.

გ. აქვსენტისძე მოისრაფეშვილი.

აქ კარგათ დაყენებული. აქაურ სამკითხველოს კვირაში ორჯელ ამოაქვს სადგურიდან ჟურნალ გაზეთები. თუმცა აქ ფოსტა ტელეგრაფიც არის და მუდმივი მოძრაობაც სოფელსა და მახლობელ სადგურს შორის. ეს მიუტევებელია. კვირას, 27 აგვისტოს, წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ წარმოდგენა დაიდგა აქაურ სცენის მოყვარეების მიერ. წარმოდგენილი იყო 1) წითელი დემონი და 2) მე მოვკვდი—ვოდევილი. თუმცა აფიშაში გამოცხადებული იყო ოთხი სხვადასხვა მოქმედება, მაგრამ გამოურკვეველი მიზეზების გამო ორი მოქმედება მოსხნილ იქნა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ისეთს უწესობას ჰქონდა ადგილი თეატრის დარბაზში, რომ ყურთა სმენთა არ იყო. ზოგიერთ მაყურებლების ყაყანი უმაღლეს წერტილამდე იყო ასული. აქაური აღმასკომი შესდგომია გზების შეკეთებას, რომელნიც მრავალი წლების განმავლობაში უყურადღებოთ იყვნენ მიტოვებული. იმედია, დაწყებულ საქმეს დაამთავრებს კიდეც, აქ მოსავალი კარგია, გარდა ქერისა, რომელიც ჟამინდობამ სანახევროთ მოაცდინა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

ბუკის ციხე (გურია)

28 აგვისტოს აქ დაიდგა 8 წლიან შრომის სკოლის სასარგებლოდ ირეთელის 4 მოქ. პიესა „ქრისტინე" იოსებ გეთიაშვილის რეჟისორობით. წარმოდგენა კარგად ჩატარდა და დამსწრე საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა. ბილეთებიდან შემოვიდა სულ 81,000,000 მან. პროცენტების გადადება თუ სხვადასხვა ხარჯები იყო 26,000,000 მ. ხარჯის გამოკლებით შემოსავალი იყო 55,000,000 მ., რომელიც უნდა მოხმარდეს სკოლას. აღსანიშნავია, რომ ბუკის ციხის თემის დრამატიულ წრეს კარგი ძალები ჰყავს მხოლოდ აბრკოლებს მათ მუშაობას სახალხო სახლის უქონლობა. საჭიროა ბუკის ციხის თემის მოწინავე ამხ. მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და შეუდგნენ ზრუნვას სახალხო სახლის ასაგებად.

წელს გურიაში საერთოდ და განსაკუთრებით ალმოსავლეთ გურიაში საზაფხულო სამუშაოს დასაწყისში გვალვა იყო, შემდეგ მოვიდა წვიმა, თითქმის ერთი თვე ცუდი ამინდები იყო; ეხლა თუმცაღა კარგი დარები დადგა, მაგრამ სიცივეები დაიწყო და სიმინდის მწიფება შეაჩერა განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში, მაგრამ თუ აში უკეთესი დარები დარჩა, მოსავალი კარგი იქნება.

რაც შეეხება დაბლარ ვენახებს, წამლის თავის დროზე უქონლობისა და მასთან ავდრების გამო, ცოტა დაზიანდა, მაგრამ საერთოდ არა უშავს რა; მაღლარ ადესას გურიაში საერთოდ ძლიერ კარგათ ასხია.

პურეულობას გურიაში იშვიათად სთესვენ. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, აქედანვე მიექცეოდეს ყურადღება და შეძენილ იქნებოდეს კარგი ჯიშის საპურე თესლი და ადგილობრივ ხელისუფლების საშვალებით ფასად დაურიგდებოდეს ხალხს. პურის ალების შემდეგ კიდევ მოესწრება დათესვა ეგრეთ წოდებულ ორმოსავალა ღომისა, ასე რომ პურსაც მოვიყვანთ და ღომსაც. სარგებლობაც მეტი იქნება და მიწაც განოყიერდება.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა ამ თემში დამთავრდა.

სიმინდი აქ ბაზარზე ფასობს 700,000-დან 800,000-დე. უმეტესად სიმინდი გამოაქვთ ბაზარზე გასასყიდათ სამეგრელოდან ურმებით. თუ კარგი ხარები ყავს შეუძლია მოიტანოს 30 ფუთამდე. ასე რომ მთელი ურემის სიმინდი რომ გაიყიდოს აიღებს 24,000,000 მან. ამაში შედის კიდევ მისი და ხარების ორი დღის ხარჯი (ისიც თუ თავის დროზე გაყიდა). ასე რომ ერთი ურემი სიმინდით შესაძლებელია იყიდოს ერთი წულა. აღსანიშნავია, რომ ვაჭრებს ხემეტანი მადა გაეხსნათ, მათ ალვირწახსნილობას საზღვარი არა აქვს.

ხტუმარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა საცხოვრებელი და არა-საცხოვრებელი შენობა განიყოფება:

ა) ნაციონალიზაციაქმნილ, ბ) მუნიციპალიზაციაქმნილ და გ) ყველა დანარჩენ შენობად, რომელიც რჩება კერძო პირის და ორგანიზაციის მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში.

2) ნაციონალიზაციაქმნილად ჩაითვლება ის შენობა, რომელიც რესპუბლიკის საერთო კუთვნილებას შეადგენს და მის ცენტრალურ ორგანოს განკარგულებასა და სარგებლობაში არის. ასეთია: ა) ის შენობა, რომელიც სამრეწველო საწარმოო ტერიტორიაზეა აგებული, ამ საწარმოსთან არის დაკავშირებული და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების გამგებლობაშია; ბ) ის შენობა, რომელსაც ზოგად სახელმწიფოებრივი ხასიათის სპეციალური დანიშნულება აქვს, როგორიც არის: ყოფილი სასახლეები, მუშათა სასახლეები, შენობები, სამხედრო საინჟენერო დისტანციის უწყებაში მყოფი, უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლის შენობები, სახელმწიფო მუზეუმები აკადემიური თეატრები, აგრეთვე ყოფილი სახაზინო და სხვ. შენობები, რომლებიც ამჟამად მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებათ უჭირავთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: ნაციონალიზაციაქმნილ შენობათა ნუსხა ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

3. მუნიციპალიზაციაქმნილად ჩაითვლება ყველა ის შენობა, რომელიც ამა დეკრეტის გამოქვეყნებამდე ჩამოერთვა მის წინანდელ პატრონს და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უშუალო განკარგულებაშია ან ამ კომიტეტებს სარგებლობისათვის იჯარით გადაცემული აქვს დაწესებულებისა, თვის, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის, კერძო პირისათვის და სხვ. განსაკუთრებული ხელშეკრულებით, და აგრეთვე უპატრონო სახლები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: სავაჭრო-სამრეწველო სადგომი (მაღაზიები, დუქნები, საწყობები სასტუმროები, აბანოები და ბაკები), სადაც უნდა იყოს იგი, დარჩება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში და მის მიერ გაიცემა იჯარით განსაკუთრებული დებულებისამებრ, რომელსაც იგი დაადგენს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: სავაჭრო ხასიათის საწყობი, რომელიც სამრეწველო საწარმოსთან ტერიტორიალურად არის დაკავშირებული, დარჩება მწარმოებელ ორგანოთა გამგებლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3: ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში დარჩება ის სამაღაზიო დარაბა, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის ფაქტიურ სარგებლობაში იყო 1923 წ. სექტემბრის 1-ს.

4. კერძო მეპატრონეთა შენობათა რიცხვს ეკუთვნის ყველა საცხოვრებელი და არა-საცხოვრებელი სადგომი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამა დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლში.

5. მუშა-მოსამსახურეთა ბინის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება მიეცათ:

ა) აიღონ აღრიცხვაზე საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცის: ტფილისში არა უმეტეს ერთი მესამედისა ყველა იმ შენობებში, სადაც 6 ოთახზე მეტია; ბათომსა—არა უმეტეს 25 პროცენტისა. ხოლო დანარჩენ ქალაქში—არა უმეტეს 15 პროცენტებისა:

ბ) კომუნა-სახლებში და საზოგადოდ ყველა მუნიციპალიზაციაქმნილ შენობაში, თუ სხვა რაიმე გზით ოთახების შემჭიდროება, ტეხნიკური ან ოჯახური მიზეზის გამო, ამ სახლების ადმინისტრაციას თვით ვერ მოუხერხებია, სახლის ფარგალში გადაასახლონ ხოლმე მდგმურები, ნორმის მიხედვით გასანაწილებლად (სულზე 25 ოთხ. კვ. არშინის ვარაუდით);

გ) სკოლებისა, საავადმყოფოებისა, ბანკებისათვის და სხვ. დანიშნულ შენობებიდან მცხოვრებნი ადმინისტრატიული წესით გამოასახლონ;

დ) იმავე კომუნა-სახლების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით გამოასახლონ ხოლმე ადმინისტრატიული წესით, წინასწარ ერთის თვის გაფრთხილებით:

1) ის პირი, ვინც ვაჭრობას მისდევს, 2) სამრეწველო და საშინამრეწველო საწარმოთა მეპატრონე, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას; 3) კონტორა, სასადილო, საჩაიე, კლუბი, სახელოსნო, რომელთაც საცხოვრებელი სივრცე უჭირავთ; ამასთანავე ესენი გადაყვანილ უნდა იქნენ სავაჭრო მიზნებისათვის შეფარდებულ სადგომებში (დარაბა, მაღაზია, კონტორა და სხვ.), 4) საერთოდ ყველა მოქალაქე, რომელიც არა სცხოვრობს შრომის შემოსავლით, რომელსაც არა აქვს გარკვეული საქმე, აგრეთვე კომისიონერი, სავაჭრო და სამრეწველო ფირმის წარმომადგენელი და სხვ.

6. მუშა-მოსამსახურეთა საბინაო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნითვე:

ა) აეკრძალოს კერძო პატრონს და მუნიციპალიზაციაქმნილ მფლობელობათა მოიჯარადრეს საცხოვრებელი სივრცის გაქირავება კონტორისა ან რაიმე საკომერციო საწარმოსათვის; ყველა ასეთი კონტორა და საწარმო ერთი თვის განმავლობაში ადმინისტრატიული წესით გამოსახლებულ უნდა იქნეს.

7. სახლის პატრონი ვალდებულია განაგოს სახლი პირადად ან განსაკუთრებული რწმუნებულის მეშვეობით, მოახდინოს საჭირო შეკეთება და შეასრულოს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა.

8. სახლის პატრონს უფლება აქვს სახლი გაასხვისოს ყველა კანონიერი გზით, იჯარით გასცეს და ოთახები და ბინები გააქირავოს.

9. დაკავებული სივრცის ნორმად ყოველი მოქალაქისათვის—გამოუკლებლივ დაწესებულია 25 ოთხკუთხი არშინი თვითეულ სულზე, ხოლო დაწესებულებისა და საწარმოსთვის—9 ოთხკუთხი არშინი თვითეულ თანამშრომელზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნორმის გარეშე ერთი კაბინეტის (არა უმეტეს 30 ოთხ. კ. არშინისა) დაჭერის უფლება აქვს იმ საბჭოთა მოსამსახურეს, რომელიც სამსახურის ხასიათის გამო მოვალეა მუშაობას შინაც ეწეოდეს, და რომლის ჯამაგირსაც ასეთი ზედმეტი მუშაობისათვის სამუდამო დასატეირთი ემატება; შემდეგ—პროფესორს, ექიმს, რომელიც პრაქტიკას ეწევა, ინჟენერს, რომელიც საბჭოთა სამსახურშია თავის სპეციალობაზე, დამცველთა კოლეგიის წევრს და საბჭოთა ცენტრალური დაწესებულების ძირითადი განყოფილების გამგეს. საბჭოთა დაწესებულებასა და საწარმოში ნორმის გარეშე კაბინეტს 30 ოთხ. კ. არშინამდე შეიძლება მიეცეს დაწესებულების და საწარმოს სათავეში მდგომ პირს და მის მოადგილეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. სექტემბრის 26.
ტფილისი—სასახლე.
(დასასრული იქნება).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 27 სექტემბერს დღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტ.—სპროპ. განყოფილებაში შესდგება გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების კამპანიის მომწყობი კომისიის თათბირი.

თათბირს უნდა დაესწრონ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტ-განყოფილების, პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების, განათლების სახ. კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის, ახალგაზრდათა კომკავშირისა, რაიკომების მდივნები და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

დასახელებულ წარმომადგენელთა დროზე დასწრება სევალდებულოა.

საქ. კ. პ. ტფ. კ-ის სააგიტ.—საპროპ. განყოფილება

ამხანაგთა მობილიზაცია.

პარასკევს, სექტემბრის 28-ს დანიშნულია მეორე უბნის ორგანიზაციის წევრთა პოლიტ-ცოდნის შემოწმება. ამ მიზნით მობილიზაციის წესით გაწვეული შემდეგი ამხანაგები: ადამსკაია, ავენირი, ალაგარდიან, ალაჯანოვა, ბალტინი, ვარძიელი, ვაშაძე, ვართაპეტიანი, გინდინი. გრიცენკო, გენკინი, გომინერი, გალკინი, გოლუბევა, დიმანტი, დანდუროვი, დივნოგორცევი, დუმენსკი, დუდუჩავა, ერქომაიშვილი, ელისაბედაშვილი. ჟოჟიკაშვილი, ივანოვ-კავკაზსკი, იგნატოვი, ივანიანი, კახიანი, კურულოვი, კოსტანიანი მ., ჯოგანი, კიკნაძე (რედ.), კარტოზია, კორძახია, ქართველიშვილი, კიკალეიშვილი, კასატკინი, კრუგლიკოვი, ლომინაძე, ლიადოვსკაია, ლიბაუ, მედვედევი, მამულაშვილი, მარქარიანი (როსტა), მოგილევსკი, ნოვიკოვი, ნაზაროვი, ნემჩინოვი, ნადირაძე, ორახელაშვილი მარ. ოკუჯავა კ. ოკუჯავა მ. პოლისი, პადერინი, პათერინა, პენიაკოვა, პენიაკოვი ს. რახმანი, რუხაძე გენ. სუტირინი, სოკოლოვსკი, საყვარელიძე („მუშა"), სააკიანი, სტელმანი, თალაკვაძე ს. თალაკვაძე ი. ტაკოევი, ფროლოვი, ფრანგულიანი, ხაჭაპურიძე, ხანოიანი, ჩხეიძე (რედ.) შავერდოვა, ესსენი მ. ესსენი ა. ერისთავი, ცინცაძე ივანე.

ყველა ზემოხსენებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ნაშუადღევის 5 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე (კიროჩნისა და მიხეილის ქ. კუთხე).

ტფილ. კომიტეტის მდივნის მაგიერი გოლდბაუმი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

პროფესიონალური

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში

— ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, დილის 11 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფილი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობა, სართული მესამე) იწყებენ თავის მუშაობის

განახლებას საკლუბო და საბიბლიოთეკო სექციები.

მათი მიზანია თავი მოუყარონ და ერთმანეთს დაუახლოვონ პოლიტგანათლების ასპარეზზე მომუშავენი. იქ იმართება საუბრები და იკითხება მოხსენებები საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: კომპოზიტორი გიორგი დიონისის ძე სვანიძე, ივლიტა კონსტანტინეს ასული ლომთაძისა, ეკატერინე კონსტანტინეს ასული კასტორსკაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 25 სექტემბერს, ღამ. 11 ნახ. საათზე გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, შვილი მეორესი და დისწული მესამესი, ყოფ. ბავშვთა № 2 სახლის გამგე და მდივანი ბავშვთა სახლების სექციისა გან. მუშ. კავშირში

ელენე (ლენა) იორდანეს ასული
ლომთაძე-სვანიძისა

გამოსვენება ბინიდან (ვერის დაღმართი, სახლი მელიქ-აზარიანცისა № 1, ბინა № 21) 27 სექტემბერს სალ. 4 საათზე. კრ. 1241 1—1.

წიგნი „ჩვენი სკოლა",

მესამე ნაწილი იყიდება ავტორებთან. ბითუმათ მყიდველთ—25 პროცენტი შეღავათი. კრ. 634 2—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის
სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ
ა. წ. 6 ოქტომბერს
დანიშნულია შეჯიბრება

კლდის მოთხრის და წყლის-მიმღების მოხრეხლის [illegible] ბის შესახებ—რაოდენობით 10.000 კუბ. საჟ. [illegible] 9 თვეა.

იმ პირთ, ვისაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტში დაწესებულ თეთრანიმუშზე (ბლანკზე) წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 9/10 შეჯიბრებისათვის". ამავე დღის გაიხსნება კონვერტები.

დაწვრილებითი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე 10—12 საათამდე ქ. ტფილისში ლადო დუმბაძის ქუჩა № 3, აქედანვე გაიცემა დაწესებული თეთრანიმუშები განცხადებისათვის.

კრ. 633 2—1. სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე

ს. ს. საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი ნიშნავს
სიტყვიერ საჯარო ვაჭრობას

პარასკევს, სექტემბრის 28-ს, დილის 10 საათზე ცენტროსაწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 133) და სატრანსპორტო ეზოში (ელისაბედის ქ. № 172)
ცხენებისა და სხვადასხვა საქონლის გასასყიდად:
ეტლის რკალების, ფანების, ცულის ტარების, ხის ნიჩბების, ძველი ფეხსაცმელების, ტომრების, ბოჭკების, ბიდონების, ეტლის თვლების, თუჯის ქვაბების, სასაქმებელი ზეთის, კარტოფილის ფქვილის, სიმინდისა, ფეტვისა და სხ.

შაბათს, სექტემბრის 29-ს, დილის 10 საათზე სარემონტო სახელოსნოთა ეზოში (ელისაბედის ქ. № 179) სხვადასხვა ჯარისა და ურმის სატრანსპორტო და სხვა ნივთების, გაიყიდება: რკინის ნატეხების, თუჯი, საქვაბე პლიტები, ძველი თვლები და სხვ.

კვირას, სექტემბრის 30-ს დილის 10 საათზე სასურსათო საწყობის შენობაში № 1 (ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქ. № 18) გაიყიდება სხვადასხვა ფქვილი კრუპა და ხორბლეულობა, სახელდობრ: მუხუდო, ფეტვი, ნ-კმაზი და სხ.
საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნულ საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ საქმის დღეს, სამეცადინო საათების განმავლობაში ზემოხსენებულ მისამართებით.

ს. ს. საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი.
1238 3—2.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საყურადღებოდ

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 24-დან 30 სექტემბრამდე სექციის ბიუროს ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 37) საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილ. სექციის
წევრების პერერეგისტრაცია.
ისინი, ვინც პერერეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, სექციიდან და კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან.
ყველა ცნობებისათვის მიმართეთ სექციის რწმუნებულებს.
კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: შავერდოვა.
საორგ. განყ. გამგე: მეძმარიაშვილი.
ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექც. პასუხისმგ. მდივანი: გიულიუმიანი.

ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელსადგურის აგების მუშაობათა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 ოქტომბრისათვის
დანიშნულია შეჯიბრება
ტეხნიკურ პერსონალისათვის არხის სათავეში მუდმივ ქვის შენობის აგების ნარდათ აღების შესახებ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალით ხოლო მონარდის ხელსაწყოთი.

სამუშაოს შესრულების ვადა—ოთხი თვე.

იმ პირებს, რომელსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტში დაწესებული თეთრანიმუშზე (ბლანკზე) წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 1 ოქტ. შეჯიბრებისათვის". ამავე დღეს გაიხსნება კონვერტები.

დაწვრილებითი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღეს 10—12 საათამდე ქ. ტფილისში ლ. დუმბაძის ქ. (ყოფილი ველიამინოვის) აქედანვე გაიცემა დაწესებული თეთრა-ნიმუშები განცხადებისათვის.

სამუშაოს უფროსის თანაშემწე გიგო კიკნაძე.

კრ. 623—2—2

ელექტრონის სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დარბაზით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible]
ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] აწარმოებს ექ. სვიმონ ჰიფშიცის [illegible]
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (501—25—2 4

დაიკარგა საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის წიგნაკი № 1338 ალექსანდრე ივანეს ძე ჩეხოვსკის სახელზე გაცემული, გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულათ. 1242 1—1.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ ადამის ძე სეფიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1239 1—1.

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ზუგდიდის სამაზრო მმართველობიდან ისიდორე კოსტას ძე პაპასკირის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1240 1—1.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი
ძირითადი კაპიტალი 10.000.000 ოქროს მანეთი
გამგეობა მოსკოვში.

განყოფილებები: პეტროგრადში, მოსკოვში, როსტოვში, კრასნოდარში, სიმფეროპოლში, ბაქოში, ასტრახანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ტაშკენტში, ეკატერინბურგში, ნოვო-ნიკოლაევსკში, ირკუტსკში.

სააგენტოები: სევასტოპოლში, ყაზანში, კურსკში, ტომსკში, პეტროვსკში.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება
განყოფილება ტფილისში
განყოფილება მოთავსებული იქნება თავისუფლების მოედანზე ლადო დუმბაძის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში.

განყოფილება აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. სესხის მიცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის ვექსილის და საქონლის საბუთების გირაოს ქვეშ.
2. საინკასო ვექსილების და საქონლის საბუთების.
3. გაცემა სესხისა და მიღება შესანახათ თანხებისა მიმდინარე ანგარიშებზე და კოოპერატიულ სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, კერძო ფირმებისა და პირებისაგან.
4. გადაგზავნა ს. ს. რ. კ. ყველა ქალაქებში და საზღვარ-გარეთ, მოსკოვის სახალხო ბანკში ლიმიტედ (ლონდონი.)

მოქმედების რაიონი: მთელი ამიერ-კავკასია, გარდა აზერბეიჯანის ს. ს. რ-სა.

2—2

სტამბა „ზარია [illegible] № 4.